"დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი"

ვიორგი ლეონიძე



ლიტერატურული მესხეთი

№10 (312)
სექტემბერი
2024 წელი
უფასო

გამოცემის ოცდამეხუთე წელი

"LITERATURULI MESKHETI"

ნეტავ, შოთა ხომ არ იყო?!

ციური ასპანიძე

აჰა, აბჯარი ვიპოვე,
აჰა, პერანგიც ჯაჭვისა,
ნეტაი, ღმერთო, იმ დროებს,
შენც რომ გესმოდა კაცის ხმა!..
ეს ,,მუზა"- რადი ვისია?
შიგ ამოსულა ყვავილი,
ამით ჩანს მისი მისია
წუთისოფელით განვლილი...
ჯაჭვის პერანგსაც ამშვენებს:
ბორჯღალო მზე და თვალ-ღილი,
ეტყობა მხედრის სამშვენებს
ომებში არის დაღლილი!..
ნეტავ, საიდან მოვიდა?-
ვინც მეტყვის, მთვარეს ვაჩუქებ!
თუ მოსულია ომიდან,
ხომ მომიტანდა საჩუქრებს?!..
თავს მომახვევდა ქიშმირებს, –
ტანს კაბას აბრეშუმისას,
მე გავუჩენდი მზის შვილებს,
დავიფარავდი შურისგან...
სულ მქონდა ნატვრა-სურვილი
ლალ- ბადახშ- მალაქიტისა,
ბაჯაღლო ოქროცურვილით
ბეჭედი – არათითისა!
ნეტავი, სადაურია,
ამ მხარეს რისთვის მოსულა?
ან ბედმა, სად აურია,
დედა, სად ჰყავდა ორსულად?..
რაინდი, ტანით კენარი,
სახით ტურფა და ლამაზი,
ვერ ედრებოდა ვერავინ
შურით სკდებოდა დარბაზი...
„რომელმან შექმნა სამყარო"...
თვალ-მარგალიტიც მისია,
საჩუქრად გადავაყარო,
ჩემგან ამისი ღირსია!..
გიშრის წამწამით მელნის ტბა,
ცრემლებით გავაფერმკთალო,
რა შემიძლია მე, რის თქმა,
მუზავ, ჩემსავით შემკრთალო?!..
მე შიმუნვარი* ვიყავი,
მეფემზე თამარისაო,
მებარა მეფის წინკარი,
სამეფო კარავისაო!..
დარბაზობისას ვმოსავდი
ქართულ, შინდისფერ კაბითა,
მეფე – ცამდე ღვთით მოსავი,
თავს იწონებდა ქამრითა!..
ერთხელ, მოიხმო მგოსანნი,
მზეს მზესტუმარიც ესტუმრა,
მოიხმო უცხო მგოსანიც, –
მგოსანთა შორის ზე-სტუმრად!..
ფეხზე წამოდგა ზე-მზე და
გვერდზე დაუდგა ზუალი,
მუშთარმა ჩამოაფარა
თამარს ცრემლების ვუალი...
დადგა წამები ნანატრი,
თვალში ჩახედვა-გაყრისა,
მუშთარ-ზუალის განათვლით
ქვითინი ათას მაყრისა...
იჯდა მუნჯივით თამარი,
იმშვენდა ხელმწიფობასა,
მგოსანი ცრემლთა დამალვით
ჰკოცნიდა კაბის ქობასა...
მეფის წინ მუხლებმოყრილი,
ღიღილოსფერი ქულაჯით,
მკლავებზე ირგვლივ ორმხრივი
მზისგან ნაქარგი ყურთმაჯით!
წელს უმშვენებდა ქამარი –
„ვეფხისტყაოსნის" გრაგნილით,
მოძღვარნი თავის ამალით,
უმზერდნენ ეჭვით დაღლილნი!..
ამ გრაგნილიდან მზის სხივნი
ცას ეფრქვეოდა ხანგრძლივად,
სიტყვებში, ფერთა ისხირით,
მოძღვართა გული დამძიმდა...
სამაგიეროდ ტკბებოდა,
თამარი – სახემწყაზარი,
ირეკებოდა, მღეროდა,
ცხრა ზეცისავე ცხრა ზარი!
ისნის სასახლეს მზე ენთო,
ვარძიას – ტრფობის ხანძარი,
ჩვენ შენთვის, მზეთამზევ ერთო,
წუნდის გედები დავძარით!..
მტრედმა სამელნე მოლესა,
გედმა-ბუმბულით ლერწამი,
ისე გვაამო ორ ლექსმა,
შოთასთვის კალმებს ვძერწავდით...
უცებ მოფრინდა კაჭკაჭი,
ჭრელი ბუმბული გვაჩუქა,
ინაზებოდა, თან პრანჭვით,
ფრთა რომ მოიძრო საჩუქრად...
არწივმა, გვირგვინი დათმო,
ბულბულმა – სალამურები,
შავმა ყორანმა გაათბო
ბერების საღამურებით...
ღმერთით სიტყვები ებოძა,
საზეო სიტყვის კონიდან,
და დაუყენა მზე ბოძად,
ვერვინ რომ გადასწონიდა!
მშობელმა მიწამ – ცრემლები
(სული რომ ამით იხვეწა...),
ცისკენ აღაპრო ხელები,
ადგა და გადაიხვეწა!..
თამარს, ეს ცუდად ენიშნა,
გულმა საავოდ უკენწლა,
ჩასვლა დაიწყო მზემ ნიშნად...
მზეც მოსულიყო უკვე წლად!..
ტარიელისთვის უმცნიათ: –
ცუდად არისო ნესტანი,
მთვარესაც ვეღარ უცნია,
ისე დაუდნა მზეს ტანი!..
თეთრწვერიანი მოხუცი, –
მეტეხის ხიდთან მტირალი,
გეგონებოდათ კონფუცი –
მესხების თვალით მზირალი!...
მეკითხებოდა ქეშიკი*,
მოსული გულანშაროდან: –
ნეტავ, შოთა ხომ არ იყო,
ვეფხთან რომ შაირ- შარობდა?!..

[1].შიმუნვარი-მოახლე ქალი;*
[2].ქეშიკი-პირადი მცველი.*



„„ეეფხისტყაოსანი“ დღეს ერთ–ერთი ყველაზე ცოცხალი წიგნია, ასეთ ხანგრძლივ სიცოცხლეს კი უკვდავ–ებაა ჰქვია. დღითი დღე უამრავ მკითხველს იზიდავს და ხიბლავს თავისი ერთადერთობით. მისი პოემის აქტიური ზემოქმედების უნარი შეიძლება შეადაროთ რომელიმე რელიგიას, ანდა პოლიტიკურ მოძღვრებას. ამ წიგნის მიხედვით უცხოელს შეუძლია ქართველებზე თითქმის სრული წარმოდგენა იქონიოს. შოთა რუსთაველი დღეს მარტო სახელი და გვარი არ არის, აღმატებულებას, უზენაესობას, თითქმის ღვთაებ–რიობას აღნიშნავს. მეტიც შოთა რუსთაველი ქართველი ხალხის აღმნიშვნელი ცნებაა“.

თამაზ ჭილაძე

ეთერ მეფარიშვილი

ყოფა

ვიდრე მამრები დამპალ კომბლებს ჭერში აწყობენ,
ვიდრე დევებთან „გულადობენ“ მენაცრეები,
მედროვეები გულბრიყვებთან ურცხვად წაწლობენ,
სინდისს ამაოდ აგროვებენ მესაცრეები!

სანთლებს ანთებენ ულეჩაქო ამორძალები,
მშვიდობისათვის ლოცულობენ ბრმად და ზეპირად,
თუმც ნატაძრალზე ეხიჭვებათ „ძმათა“
თვალები,
სულ აღარ ახსოვთ ის სანთლები რისთვის
ეჭირათ!

ცოდვის ვასაბებს დაუწინდავთ ეშმაკთან
სული,
ხოლო ეშმაკნი, უფრო მეტად სინიორობენ,
ყველა წესდებით, ხომ სამართალს ერგება
პური?!
მაგრამ კვარცხლბეკთან ჯამბაზები
პრიზიორობენ!

კუთხეში დალაქს გაპარსვას სთხოვს ვინმე
ქაჩალი
და იკოხტავებს სამართებლით უჩინო ნამუსს,
სამწუხაროა, რომ დალაქიც არის ლაჩარი
და სამართებლით, სამართალის გაღება
არ სურს!

შესაძლებლობის პალიტრიდან ვირჩევ
რუხ ფერებს,
ფერადოვნება ეურჩება ჯავშანის ფასადს,
ყრუ ვარ, ბრმა, უტყვი, ვიმალები, ვიფარებ
ხელებს,
მუქი არშიით ვასათბურებ გონების მანსარდს!

მასწავლე, ღმერთო, რით შევმოსო შიშველი
სული?
ვერ ვერგები და ვერ მერგება გაქნილი ყოფა,
ვბორგავ, ვიძინებ, ჟამ, იმედის მედება რული,
გარიჟრაჟისას წყალს დაისხამს ყვავილი ქორფა

და იყვავილებს სასოება,
ხოლო ნატაძრალთ,
სანთლების სევდა შემოენთებათ!

მაემისეულზე

მერე, ალბათ, ყრუ კედლებიც გაცვდებიან,
შიფრის ღარებს, ხავსის რბილი კბილანები,
რახანია არხეინად დასდებია,
ეს დღეები – წარბუდრეკი ტირანები,
უნაყოფოდ, უმოსავლოდ მაკვდებიან...
თვალთხამხამში, ძილ-ღვიძილში ვიფანტები!
შენ ხომ იცი, მამაჩემო, შენ ხომ ნახე,
ბრმა თვალებით ცელის პირზე ვიარებით
და ოდესმე, ხაზზე სწორად ვერ გასული,
„ღრანტეებში“ ლეშის გროვად ვიკაფებით.
შენ ვერ იტყვი, თუმცა უკვე გაიარე,
ხომ შეხედე, ბალახსაც რომ ჩვენზე მეტი
სიცოცხლე აქვს, ქვა და კირი გაიღარნენ,
ნახეთქები იჩაგრება ხვიარებით.
ვიცი, ბოლოს გაცვდებიან ეს კედლებიც,
და დრო, ხარჭად შესაწირად, ახალს მოგვთხოვს,
გეცინება, მამაჩემო? ჰო, შენ იცი,
ძვალთსახლის თავს
სუყველასთვის თეთრად მოთოვს
და თანაბრად, უდრტვინველად წაგვაფარებს,
ცხოვრებასთან ბრძოლის ველზე დაცემულებს.
მოყინულ შალს,
თეთრად ნაქსოვს, მოლხენილებს,
ბედით ნამშობთ, უბედობით გაცემულებს!
ჰო, იცი და წუხხარ ალბათ, უფრო ჩვენზე,
ხორცთსაცხოვრის ბინადრებზე, მერამდენედ,
შავ ფიქრებში სულს უკვდები, მამაჩემო,
რომ უფრორე სუსტები ვართ ხვიარებზე,
მრავალძარღვას ურჩ ბოლქვებზე, ნახეთქებში
სიცოცხლეს რომ იბრუნებენ ფილაქნებზე...
აქ ძველ კედლებს შერჩენიხარ, მამაჩემო,
მოვა დრო და ჩვენ სხვა კედლებს შევუჩნდებით,
შენ რომ რაღაც ვერ მოასწრე სადამრჩენოდ,
ამ დროებას შენს წილადაც ვეურჩებით!
თუმც, შენ იცი, ახლა ისე ცხადად იცი,
რომ ცხოვრება წაგებული თამაშია
და ბოლოჟამს, გაცილების ცრემლთ თათქაში,
უსუსური, უნუგეშო განგაშია!
გეტირება მამაჩემო? გაიღიმე!



სულს, ფიქრებით, მეტად ნუღარ მოუკვდები,
არ იდარდო, რაც გსურდა და ვერ მოასწრე,
შენს თეთრ მიზნებს,
ჩვენს მომავლებს მოვუყვებით!
მერე? მერე, ჩვენ შევხვდებით, მამაჩემო!
ბილიკებით სულსაცხოვრისს მოვუყვებით...
ჰო, აბა რა? ჰო, აბა რა? მამაჩემო!
შევხვდებით და
ჩვენ ერთმანეთს მოვურჩებით!

***

ვლეწე სახეთა მყიფე თეჯერი,
შემოვიფლითე სიბრმის ფარაჯა,
იყო და აღარ არის ჯებირი,
სიშიშვლემ სულებს გადაალაჯა!

რა დამალულა, რომ დაიმალოს?!
რის მაქნისია ფარღალა შირმა?
კანი რომ შეცვლის, რომც შეიცვალოს,
თუკი, ნაფიცი ჩარეცხა შურმა!

გულს მერამდენედ ამომაცლიან
პირობით: თითქოს უნდა გამითბონ!
მიორგულებენ, მერე დამცდიან,
რომ აღმომჩენის განცდით გარითმონ!

ნამლაშევ ცრემლებს დამიწუნებენ,
ცხელ გულზე წყურვილს არ დამაცდიან,
სამსალის მადლით დამარწყულებენ,
აირიდებენ მზერას ნაცრიანს!

მაგრამ მე, უკვე, მაგრამ მე, უკვე,
ვლეწე სახეთა ურცხვი თეჯირი,
ჯანდაბას, სიბრმით რაც ჩავილუკმე,
იყო და აღარ არის ჯებირი!

ორგუნებობის ვფლითე ფარაჯა!

***

ყოფა სიკვდილივით დაბნეული,
ცოტა ვერაგული, თავთავ-ფშუტე,
ვცადე, მორიდებით მოვიზომე,
ველარ მოვირგე და უკან ვჩურთე.
როგორც ვერცხლისფერი ფოთლის გროვა
(სეზონ მოყირჭული ბაღის ფშატი),
წარსულს მივახვეტე დღეთა ბორგვა,
დავგმე გულსახმობი მზე და ხვატი.
აქეთ სახეები გამჭვირვალე,
ნიღბებს ლანდი გასდით, როგორც წული,
თითქოს სხვის მაგივრად დავიმალე,
ძალად მოვიკიდე თვლემა, რული.
თაფლში ფუტკრის ფეხი, შხამი, წალა,
ფარსი ვაღებინე გარიჟრაჟზე
(სინდისს გადაუწვეს ყველა შკალა,
ულვაშს ენაცვლება ტრენდი – „ბლანჟე“!)
და მე, სიკვდილივით დაბნეული,
ახლა კარს დავეძებ – ასარჩევად,
განა როგორც მტერი, უფრო მოძმე,
ყოფა რომ მაწვნიოს გადარჩენად!

ყოფა სიკვდილივით დაბნეული!

მეგობარს

და აჰა, სულები შეერწყა ერთმანეთს,
სიტყვებმა რაც ვერ თქვა,
გვიამბობს გულისთქმა.
მე შენი დამერქვა, შენ – ჩემი, კესანე,
მერე, მეგობრობამ დაიწყო დროის ათვლა.

სიყვარულს რად უნდა პირობა, მტკიცება,
რომ შენიანი ვარ, რომ ხარ ჩემიანი,
ჩვენ უხმოდ გავცვალეთ გულთა შემართება,
ვუამბეთ ერთმანეთს წუთნი ღელვიანი!

იტირე, ცისთვალა, მზისგულა კესანე,
ნუგეშის ძაფი მაქვს, ჭრილობებს ვკემსავ-მე,
შენთვის, მეგობარო, ან რას დავიშურებ?!
გიწამლებ, თუნდაც რომ მეც ვიყო მკვნესარე!

უნდა დამიბრუნდე, ამ სულს შესცივდება,
შენი თვალების და შენი გულის სითბო
უნდა მომაწვდინო, წასვლა ღალატს უდრის,
ჩვენი მეგობრობის უნდა შეისმინო.

ჟამს ნუ დაუფრთხები, ზოგჯერ ღრუბლიანობს,
ზოგჯერ მეც მსუსხავს და მაზრობს უბედობა,
მოდი, სულით სულზე შემოგეხიდები,
ერთად, ხელს ვერ დაგვრევს ბრბო და უღმერთობა!

მოდი, გელოდები, ეშმაკს მიაფურთხე,
აქ ვარ, შენი სულის საფერადო კანტი,
თუკი აგვერია, ერთად დავალაგოთ,
უნდოდ არეული, ბედისწერის კარტი.

დავცინოთ ცხოვრებას და ერთად გამოვდოთ
დასაჩოქებელი სარმა, თუნდაც კვანტი,
ერთი საიდუმლო უნდა გაგიმხილო,
ჩემო ცისთვალება, მზისგულა კესანე

ჯადოსნურ ძაფს ვმალავ და ყველა იარას,
ყველა ნაჭრილობევს, უკვალოდ ვკემსავ-მე.

ჰო, ჩემო მეგობარო! ჰო, ჩემო კესანე!

ვახტანგ ინაური

სიყვარულიდან ფეისბუქამდე

ველარა ვხვდებით, ველარა გხედავ,
გადის დღეები ნატვრით და ლოცვით.
მომენატრება შენი ხატება
და ფეისბუქზე შენს სურათს ვკოცნი.

დუმილი მოჩანს შენი ფანჯრიდან
ეზოს აბნელებს ჩრდილი აივნის,
აქ მოზიარე ლხინთა და ჭირთა
ვიღაც ჩაივლის, ვიღაც აივლის!

მომბეზრდა უკვე „ვაი ფაი“ და
ყალბი სქრინები და „ონლაინი.“

დრომ ისე უღვთოდ სწრაფად იარა,
და ალბათ ასე ივლის და ივლის,
ველარ გაარჩევ ხევისს და ქიწნისს,
ველარ გაარჩევ თმოგვსა და თბილისს!

უკვე რამდენი წელიწადია.
რომ „ფეისბუკზე“ შენს სურათს ვკოცნი,
ახლა კი ცოცხლად ნახვა მწადია,
შენთან მოვდივარ სულით და ხორცით!

დრო სწრაფად გარბის, დრო
სწრაფად გარბის,
და ასე ივლის, ივლის და ივლის,
რომ ვერ გაარჩევ მარტსა და აპრილს
რომ ვერ გაარჩევ მაისს და ივლისს!

აწრის ციხე და დიცი

არბო, ქორდი და დიცი.
აწრის ციხესთან გიცდი,
ისევ მახსოვხარ იცი,
ისევ გახსოვარ ვიცი!..

როცა ლიახვის ზვირთი
მაისში იწყებს ლიცლიცს,
გადამწვანდება ნაზად
ჭალა იფნის და ისლის..

მომენატრება გერი,
მთებზე დამდგარი ნისლი.
მომეძალება ცრემლი,
მიტოვებული მიწის.

უმალ დავტოვებ უხმოდ
კარალეთსა და ქიწნისს,
მივალ დამხვდება ისევ
აწრის ხევი და დიცი.

არბო, ქორდი და დიცი,
აწრის ციხესთან გიცდი,
გიცდი, გიცდი და გიცდი...

სამოცდაათი

ვთიბე და ვთიბე ცხოვრების წლები,
ვკეცე და ვკეცე ხრიოკი გზები.
ვთიბე დღეები, ვთიბე თვეები,
დავდგი ზვარეზე მაღალი ძნები...

ვლეწე და ვლეწე თავთუხის კალო,
ვთიბე, ვთიბე და მუხლებში ვწყდები.
ნათიბი მიმაქვს ნაჯაფი წელით
და კვლავ სათიბში მივდივარ ცელით.

სამოცდაათი თოვლი და ყინვა,
სამოცდაათი ყვავილი ვარდის,
სამოცდაათი წელი ვარ ქვეყნად
და მხოლოდ ერთი, ქალი მიყვარდა.

სამოცდაათი წვიმა და თოვლი
სამოცდაათჯერ გულების თრთოლვა.
სამოცდაათჯერ შრომა და ოფლი,
სამოცდაათი წვიმა და თოვლი.

აწ დაისი ვარ, ჩამავალი მზე
და შემოდგომის ხმელი ფოთოლი...

მე მხოლოდ ერთი მიყვარდა გზნებით,
და მისთვის ვთიბე ცხოვრების წლები,
ნათიბი მიმაქვს დაღლილი წელით
და კვლავ სათიბად მივდივარ ცელით.

სამოცდაათი თოვლი და ყინვა,
სამოცდაათი ყვავილი ვარდის,
სამოცდაათი წელი ვარ ქვეყნად
და მხოლოდ ერთი ქალი მიყვარდა!

სიყვარულის აღმაფრენა

რა კარგი იყავ, როცა
შენ მოდიოდი ჩემთან,
მხარზე გეკიდა მორცხვად
შავი, ლამაზი ჩანთა.
ჩვენს შორის იყო ბინდი
წინ არაფერი ჩანდა,
მაგრამ როდესაც ზამთრის
ავი ქარბუქი ჩადგა,
გადაეფარა მთა-ბარს
მაისი მწვანე ჩადრად,
უცებ აფეთქდა გული
ულამაზესი განცდით,
უმალ ავფრინდით ცაში,
ღრუბლის ქულებსაც გავცდით,
დავნავარდობდით ლაღად
აღმა, დაღმა და აღმა,
აღარ გვახსოვდა მიწა,
აღარ გვახსოვდა დაღლა,
ისევ იქა ვართ ახლაც,
ლურჯი სამყაროს გაღმა
და მივისწრაფვით მზისკენ
მაღლა, მაღლა და მაღლა...

რა კარგი იყავ, როცა
შენ მოდიოდი ჩემთან!..

მონატრება

გეევედრები,
კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ
სოფელს,
სადაც მეძახოდნენ ვახოს.

ზამთრის ნისლი ვიდრე მთა-ბარს
გადაბურავს.
კარალეთი ერთხელ კიდევ ვნახოთ.

გეხვეწები,
კიდევ ერთხელ გავიხსენოთ
ის პირველი იდუმალი ღამე,
რა გაუძლებს
ამ მწუხარე ფოთოლცვენას.
რა გაუძლებს
შემოდგომის ნაღველს!

დილა ანყურში

აწყურის ციხიდან ამ დილით
მიღიმის აწყურის მზე,
იმშრალებს ოქროსფერ მანდილით
თვალებს ოქროსწყლით სველს.

სიცოცხლისა და ნათლის ღვთაება
აღვიძებს მესხეთის ცას,
ნიავი ცელქი და თავნება პეშვებით
დილის სუსხსა სვამს.

ნისლისფერად შეღებილ მთებიდან
ეშვება ჭავლები ცვრის,
აქ უხმო ალერსით ვთვრები და,
მესხეთის სურნელი კრთის,

და ვტოვებ თისელსა და აწყურს,
აგარას, წნისსა და ფერსას,
მოწოლილ ვნებასა და წყურვილს
ველარ დაიცხრობ ვერსად.

მიმყვება სითბო და ღიმილი
აწყურელ დედის და მზის,
ციხის ქონგურებზე ამ დილით
ყელთეთრა ყარყატი ზის.

ანყურის ციხეზე

აწყურის ციხეზე ღრუბლები
ციხიონივით დგას.
სვეტი წაქცეული ზღუდესთან
დაჭრილ მეომარს გავს.

ქარი მსტოვარივით თვალთმაქცი
გალავანს უვლის გარს,
დარდი ღრღნის ომებში დაქანცულ
ასწლოვან კირსა და ქვას.

მძიმედ იცრემლება ეს დილაც
წარსულზე ჩუმად წუხს.
ახურავს ბურუსის მერდინი
მთებს მონაცრისფრო-რუხს.

მისტირის მაღალი გოდოლი
ტკივილით განვლილ წლებს,
წარსულის ცრემლები ობოლი
საუკუნეებს სძლებს.

ღრუბელი სევდიან ქალივით
ცრემლის წვეთებსა სცრის,
დილა წაბლისფერი თვალებით
წაბლისფერ ცაზე თრთის.

შევნატრი იმ მებრძოლს, იმ მხედარს
იმ ლამაზ მთებში რომ წევს,
აწყური ჩემსავით მწუხარი
მისტირის დაკარგულ წლებს.

ვარდისფერი წლები

ისე გაფრიდნენ წლები,
ვერც კი შევასწარი თვალი,
ვერ გავისტუმრე ძველი
ოცდახუთი წლის ვალი...

ეს სიყვარულის ვალი
და გატაცება წრფელი,
შემოვინახე მალვით
ეს ოცდახუთი წელი.

რა დამავიწყებს იმ წელს
მესხეთში ბედს რომ ავცდი,
იქნებ დაბრუნდეს ისევ
ის დღე მესხური განცდით.

იმ უბედობის შედეგს
ღმერთო, შეცვლიდე ნეტავ,
ოცდახუთი წლის შემდეგ
მიყვარხარ უფრო მეტად.

ვლოცავ ლალისფერ ღვინოს
და სავსე მთვარის ნათელს,
იმ ჩაუქრობელ ტრფიალს,
იმ სიყვარულის სანთელს.

ისე გაფრიდნენ წლები,
ვერც კი შევავლე თვალი
ვერ გავისტუმრე ძველი
ოცდახუთი წლის ვალი.

ანყურის ციხკარი

ნუ ჩახვალ აწყურის ციხკარო,
დაღონებული ნუ ხარ,
ეგ შენი სინათლე ანკარა
შემომაფრქვიე უხვად.

ო, ეგ დახატული თვალები
მთვრალი ნიკალას ყალმით,
სამყაროს ღრმა იდუმალებით
აღსავსე მიმზერს კრძალვით.

მიცურავ ღრუბლების აღალთან,
მისდევ საკუთარ სხივებს,
ვრჩებით გარიყული მტკვარს გაღმა
მე და აწყურის ციხე.

ნუ მტოვებ, აწყურის ციხკარო!...

ცქრიალა დედოფალი

მარტის თვესავით მაცდური ხარ,
ურჩი, თავნება,
აფორიაქებ სულში წლობით
ჩათვლემილ დუმილს,
ჩემო ცქრიალა დედოფალო,
ციხფერთვალება,
კვლავ ამიძგერე სიყვარულით
ნატანჯი გული.

და კვლავ ამღერდა დაღონებულ
ირმის თვალებში
ჩემზე გამწყრალი უგულო და
მაცდური ბედი.
ენძელასავით შემომადნა
დაღლილ ხელებში
ათასჯერ სადღაც გაფრენილი
თეთრი იმედი.

მარტის თვესავით მაცდური ხარ,
ურჩი, თავნება,
ჩემო ცქრიალა დედოფალო,
ციხფერთვალება

* * *

რაღაც ლამაზი, რაღაც წმინდა
გულიდან მწყდება,
ამაოდ გეძებ ბნელ რაბათში
ანთებულ სანთლით.
მე ის კაცი ვარ,
ვინც ყველაფერს დაგავიწყებდა,
ვისთანაც ტრფიალს
მრუშობად და ცოდვად არ ჩათვლი.
ძალით მივათრევ ამ ცხოვრების
ღორღიან გზაზე
კაცობას ჩემსას და სიყვარულს
იმედით სავსეს.
გაქრება ჩემი სული მტკიცე
და ძლიერება.
მოკვდება ტრფობა გამხელილი,
ტრფობა ფარული,
ღმერთმა სხვას მისცა
ჩემი წილი ბედნიერება,
მე დამიტოვა ნიჭი ცრემლის
და სიყვარულის.
მე ის კაცი ვარ,
ვინც შენ ყველას დაგავიწყებდა,
ვისთანაც ტრფიალს
მრუშობად და ცოდვად არ ჩათვლი.

რაღაც დიადი,
რაღაც წმინდა გულიდან მწყდება.
მე ის კაცი ვარ,
ვინც შენ ყველას დაგავიწყებდა.

კარალეთის ღამე

ლიახვის ხმა ყრუ ხეობებს
აწყდებოდა,
იფლის ტყეში ხარ-ირემი ბღაოდა,
ღამდებოდა, საამურად ღამდებოდა
კარალეთის ბედნიერი ღამე.
იფრქვეოდა,
იფრქვეოდა თეთრ სხეულზე,
სავსე მთვარის ოქროსფერი ნათელი
და გვლოცავდა
ფრთებქათქათა ანგელოზი
კარალეთში სამგზის ღამენათევი.
იღვრებოდა,
ბროლის მკერდზე იღვრებოდა,
სიყვარულის და ალერსის წვიმა,
იღებოდა, ცათა კარი იღებოდა,
და უფალი გვაკურთხებდა წყვილად.
ღამდებოდა, საამურად ღამდებოდა,
ღამდებოდა კარალეთის ღამე.
ლიახვის ხმა ყრუ ხეობებს
აწყდებოდა
და ერთვოდა ხარ-ირემის ბღავილს.
ღამდებოდა,
ღამდებოდა, ღამდებოდა,
კარალეთის იდუმალი ღამე.

***

წყაროზე ვარ და წყალი მწყურია
და ეს წყურვილი საამურია,
როცა მტევნები დასაწურია,
წყლულს ვერ უშველი,
წყლული წყლულია.
წყაროზე ვარ და წყარო მწყურია,
ამდენი ფშანი და სარწყულია,
ყველგან მესხური წყარო მწყურია,
ახალციხეა თუ აწყურია.
სულ ყველაფერი საამურია
რაც ჯავახური და მესხურია.

ჩუსთაველის ვეფხია და საუკუნეთა ჩიჩქილი ღრუბა...

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ფილოსოფიური, ჭეშმარიტი ბრძნული აზროვნების გენიალურ-პოეტურ-მიუწვდომელი მუსიკალურ-სივრცობრივი კოსმიური სიმფონიაა, ბუნების ცოცხალი ფერებით იდუმალებით შერწყმაა, სადაც ყოველთ მოქმედების გამგებელი მზე-მთვარე და ვარსკვლავთ სიმრავლეა... გენიალური პოემის, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ზენიჭიერების ამაღლებულობითა და ნატიფი, წმიდათაწმიდა მაღალი მეგობრობის რწმენით, ღვთიური სიკეთე-სიყვარულით, საოცრებად საკვირველი ამაღლებულთაგან განსხვავებული, უსასრულო სამყაროს აზრ-გენიით უფალ-ღმერთს ემსგავსებოდა, როგორც შინაგან-სულიერობით, ასევე ფიზიკური სახის ნატიფი რბილ-ჩრდილოვანი გადასვლებით. აქედან გამომდინარე, სხვაფერად ყოვლად შეუძლებელი იყო ზებუნებრივი იშვიათი მოვლენების წმინდანური სახით გენიის მხატვრული შობით გამოხატულებით ფორმირება.

მაცხოვრის, საქართველოსა და რუსთველის სულიერ-გონებრივ ვარსკვლავეთურ მთლიანობას ვინც უარყოფს, კაცობრიობამ და ქართველმა ხალხმა საკადრისი პასუხი უნდა გასცეს. რუსთველმა ღრმა ამაღლებული ზეციური პოეზიით მონოდებით მისეულად უმუსიკოსა და მოგვიწოდა: ადამიანებო! კოსმოსისა და ბუნება ღვთის გაჩენილებო, გიყვარდეთ ერთმანეთი, იმეგობრეთ ნდობით და იყავით სათნო წმინდანებიო. დიახ, ყოველივე ეს მხოლოდ მაცხოვრისეული თვისებებია ან რუსთველის დროინდელი ამაღლებული ეპოქისა, ისტორიული ფაქტია. ყოველივე დიადური ზეციურ დონეზე კაცობრიობის უპირველესი ცივილიზაციის აკვნის – უძველესი კოლხეთის მიწაზე აღმოცენდა, შემდგომ იბერიაში – დიდ საქართველოში ჩაინერგა. კოლხეთთან ერთად უდიდესი ცივილიზაციის სიახლეებს კაცობრიობას სთავაზობდნენ აგრეთვე ხეთები, შუმერები, ბაბილონელები და უძველესი ებრაელები, სომხები, რომელთაც კოსმოსი უზომო სიკეთით მადლობდა. უძველესი კოლხეთის ცივილიზაციის ათასწლეულებში გამანადგურებლად შემოესივნენ ჩრდილოელი ველური ციოთები და ექვსასი წლით ვარსკვლავეთური სიცოცხლე ჩააქრეს. მერმე ფეხზე წამომდგარ უძველეს კოლხეთს კვლავ შემოესივნენ საიდანღაც მოვარდნილი ველური ბერძნები და დაეუფლნენ მთავარ მიწებს, კუნძულებს, ზეღვთიური ნიჭი მიიტაცეს და გაითავისეს, დაიმონეს-ჩაინერგეს. მათგან ბევრმა, პელასგ-ეტრუსკების ჩათვლით, ევროპისკენ გადასახლებით თავს უშველეს, სადაც უთვალავი მეცნიერული სიახლე შეიტანეს და კეთილმზიურად განავრცეს (მე ვყვები მხოლოდ, უცხოელმა ისტორიკოსებმა რაც მასწავლეს, ყოველგვარი ანალიზისგან კი თავს ვიკავებ). ასე რომ, ბერძნებმა ბარბაროსულად დაიპყრეს უძველესი კოლხეთი და ყოველმხრივ გაქურდეს, ზეციური მოჰპარეს და წაართვეს, ღმერთ-ქალი მედეა თვალთმაქცურად გაიტაცეს, ზეციური სიმბოლო, ყოვლის შემძლე ოქროს ვერძი და ყოველივე წმინდა – უპირველესი ცივილიზაციის ნიშნები-სახეობანი. მერმე შეთხზეს ყოველმხრივ არამართალი და დამამცირებელი ისტორია-მოვლენები. გადის დრო და დიდი ფილოსოფოსი ვიტალი როტარუ უტყუარ მნიშვნელოვან აზრს გვამცნობს: „ძველი ბერძნები კოლხებისგან სწავლობდნენო“. ამ დროს გონების მთავარი უჯრედი, ჩამქრალი ქართველი მეცნიერი გვმოძღვრავს, შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ სპარსული პოემის გავლენაო, ზოგმა – ასლიაო. ასეთი სიბეცეც იკისრეს. რად სჭირდებოდა კოლხეთ-იბერიისა და უდიდესი საქართველოს შვილს, ულამაზესი ცის ქვეშ ნაშობ-გაზრდილს, რაჭისა და მესხეთის ხავერდოვანი ზეციოთ დამშვენებული ულამაზესი ბუნების შვილს, მსოფლიო სიახლეების განათლებამიღებულს, უძველესი სისხლ-გენის პატრონს; რა ჰქონდა სამათხოვრო გენიას, თავად საქართველო ხომ პოეზიაა, ღვთივ კოსმოს-მომადლებული. დიდი სიბრძნე მოვიხმოთ ხელოვნებაში თუ ვინმეს ჰბაძავ ნიჭიერი ხელოვანი? მაშინ შენ პირადი ნიჭის მტერი ხარ, ხოლო გენიაზე თუ ვიმსჯელებთ, ის მხოლოდ კოსმიური სიმდიდრით იკვებება და არა მიწიერით...

შოთა რუსთაველისეულ უზარმაზარ მრავალსაუკუნოვან შემოქმედებით სივრცეში, ჩვენდა საბედნიეროდ და გასახარად, გადაიარა საუკუნეებში არსებულმა, მუდმივად დამჩრდილავ ბნელეთის შავმა ღრუბელმა, მობერა ნათელმა კოსმიურმა დრომ და ცა ქართული მოიწმინდა კაბადონზე, რეალურსახოვანი ვარსკვლავები აციმციმდა. ამ დროს, გამბედაობისა და თავგანწირვის საოცრებად, საამოდ, ჩვენ წინაშე გამოისახა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის რეალური, ქართულ-კოლხურ-იბერიული პორტრეტული კეთილშობილური, ბრძენი, მოსიყვარულე სახე, სამი პორტრეტი, სადაც იესო ქრისტე სიღრმეში იდუმალ იღიმის, რითაც სპარსულ ნებისმიერ მცდარ მოლანდებასაც აქრობს, რითაც ქართული გენია თავისი სიკეთე-სიყვარულსიდიადით დაგვიბრუნდა. ხოლო დამოუკიდებელი გენიის სათაკილო და სულთამხუთავი სახე – აზრები აწრიალებული ქროლით შეეჭუჭყიანდა ავის მომტან ღრუბლებს, მისი ყოვლად მცდარი, სპარსული პორტრეტული მხატვრობის ფორმით და უაზრო მექანიკური გამოსახულებით (მეგობრებო, მე აქ ჩრდილს სრულებითაც არ ვაყენებ სპარსულ მინიატიურათა სიდიადეს, ისინი ხომ მუდმივად შეუდარებელი ხელოვნებაა, მაგრამ რუსთაველის სპარსელ ხანად ანუ მათ დიდ პოეტად გამოხატვას სასტიკად უარვყოფთ, რაც ქურდობაზე უარესია:

ნახ. ავტორისა

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის თითქმის მთავარი სახე დაგვიკარგეს ჩვენმა ზოგმა დაუდევარმა ან ფანატიკოსმა წინაპარმა, გენიის გვარი, სახელი და კაცობრიობის მოვლენის – „ვეფხისტყაოსნის“ – ეტრატ-ორიგინალიც გააქრეს... ცრუმორწმუნეებმა და თავად უწმინდეს და მართალ ღმერთს დიდი შეურაცხყოფა მიაყენეს, რითაც უფალი სულიერად გაძარცვეს. ავტორის, უთუოდ ტიტან-მოვლენის საფლავი ქართულ მიწას სამუდამოდ დაუკარგეს და ღვთიური ნიადაგი მშობლიური, საუკუნეებია ტირის, მისი ცისფერი ცრემლი პლანეტა-მიწის შუაგულამდე აღწევს და მუდამ დუღს...

ქართველმა საკმაოდ მოწინავე, უკვე მოაზროვნე საზოგადოებამ გადაწყვიტა, ბოლო მოეღოს წარსულის სიბეცეს, რათა არ განმეორდეს სხვა – უცხო ქვეყნების თუ მათ ერთა სივრცეში გადაავტორობის, ანუ თავად ჩვენვე უცხო ფერკაზმულობას ავარიდოთ... ჩვენს თაობას თუ მომავალთ ზეციურად ევალება კოსმოსისგან ნაბოძებ ქართულად ნააზრებ გენიას ბრძნულად და ჭეშმარიტად ჩასწვდეს და შეძლებისდაგვარად აითვისოს, რითაც გონება მუდმივად ნათელ გაეღვიძებათ... „უფალ და გენიას შემოქმედება, ეროვნულ-კოსმიური შობითი მოძრაობაა მარადიული“ და არაფერი არ უდგას წინ...

რეზო-ემელიანე ადამია,
მწერალ-მხატვარი. 16 აგვისტო, 2024 წ.

ლეგენდა

(სოფ. რუსთავის, შოთა რუსთველის სამშობლოს შესახებ)

სოფ. მუსხიდგან (ახალც. მაზ.), ორის ვერსის სიშორეზედ მდებარეობს პანია სოფელი რუსთავი. ამ სოფელში ეხლა სცხოვრობს ხუთიოდე კომლი ქურთი. რუსთავი თავის ადგილმდებარეობით, შეიძლება ითქვას, მოსაწყენ სურათს წარმოუდგენს მხილველს. გაშენებულია კლდიან მთების ძირში, ახალციხე-ახალქალაქის საფოსტო გზის გვერდით. სოფლის წინ, სამხრეთ-აღმოსავლეთით, მოსჩანს ცოტაოდენი ვაკე სახნავ-სათესი მიწები და საძოვრები, კლდიანი მთები-კი შემორტყმული აქვს ჩრდილოეთისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრით; სამხრეთად ჩამოუდის მტკვარი...

ამ სოფლის ძველ დროის ავკარგიანობისა არავითარი ნაშთი არ დარჩენილა არც ნასაყდრალი, არც ქვებზედ რაიმე წარწერა, არც ნასოფლარი, ან ნაქალაქევი და არც სხვა რამე; როგორც ეტყობა, ჟამთა ვითარებას აღუგვია ყოველივე ესე... საკვირველი ის არის, რომ აქეთ მხარეს, სადაც თამარ დედოფლის დროის ტაძრები, მონასტრები და ქალაქ-სოფლები ყოფილა, თითქმის ყველას ნაშთი დღემდე ცხადად გვიმტკიცებს იქ ცხოვრების დუღილს და ერის არსებობას და ეს რუსთავი-კი, რომელიც თამარ მეფის დროსვე ეკუთვნის, არავითარს ნაშთს არ წარმოგვიდგენს დღეს, თავის ძველ დროის არსებობისას...

მკითხველთ უნდა გავუზიაროთ მხოლოდ ზოგიერთი ლეგენდა, ხალხში დღემდე დაშთენილი ამ სოფლის შესახებ.

რუსთავის მახლობლად, ოციოდე საჟენის მანძილზედ, იქ, საცა კლდე დასცქერის მტკვარს, დასავლეთის მხარეს, ყოფილა საყდარი, რომელიც თავის ძლიერებითა და საკვირველ-მოქმედებით განთქმული იყო თურმე აქეთკენ. ერთხელ, ძველ დროს, ვიღასაც სახლში მძიმე ავადმყოფი ჰყოლია. ავადმყოფის პატრონი, რომელიც ერთ მტკვარ გამოღმა სოფელში მოსახლობდა, წამოსულა ამ საყდარში სანთლების ასანთებად და შესახვეწად, რომ მისი ავადმყოფი მორჩენილიყო სნეულობისაგან. მდინარე მტკვარი ამ დროს გაზაფხულის წყლებით მოდიდებული ყოფილა და ფონში გამოსვლა ავადმყოფის პატრონს ვერას გზით ვერ მოუხერხებია. სანთლები მტკვრის პირას დაუწყვია და შეჰვედრებია, მიეღო საყდარს ეს შესაწირავი და განეკურნა სნეული. ვიდრე ეს კაცი გამობრუნდებოდა უკან, ეკკლესიიდგან ერთი კაჭკაჭი გამოფრენილა გამოღმა, სანთლები აუტაცია და ეკკლესიასთან გაუტანია. ვიდრე ავადმყოფის პატრონი შინ მისულა, სნეული ფეხზე ამდგარა და განკურნებულა. თვით ძველი

„რუსთავი“ – წარმომდგარა შემდეგის გარემოებიდგან: სოფელს ჰქონია სასმელ წყლად მტკვარიც და ერთი სხვა წყაროც; ეს უკანასკნელი სოფელზედ ცოტა მოშორებით თურმე იყო, იგი გადმომდინარეობდა თურმე ერთის წითელ კლდიდგან. ხალხს უთქვამს: მოდით, ეს წყარო გამოვიყვანოთ სათავიდგან სოფლამდის რუს შემწეობითაო. დაუწყვიათ წყაროს თავიდგან რუს თხრა, მაგრამ რამდენიც უთხრიათ, იმდენი კლდე გამოჩენილა, ბოლოს, ბევრის წვალების შემდეგ, მცირე ოდენი რამ გაუთხრიათ და ის წყარო გადმოუყვანიათ ამ რუში. წყაროს გადმოყვანა რუში და სათავიდგან მოწყვეტა ერთი ყოფილა. აი აქედგან წარმომდგარა სახელი რუსთავი.

რუსთაველებს მღვდლად ერთი ღვთის მოსავი და პატიოსანი მოძღვარი ჰყოლიათ. ისეთი წმინდა კაცი ყოფილა ეს მღვდელი, რომ აღელვებულს მტკვარზედ ზეზეურებ, ტან გაუხდელი, როგორც მშრალზედ გავიდოდა თურმე გაღმა მრევლის მოსავლელად ისე, რომ ქალამან-წინდაც არ დაუსველდებოდაო.[1] მაშინ მტკვარზედ ხიდები არსად ყოფილა, გარდა თვინიერ ვარძიის ხიდისა, რომელიც ძალიან შორს იყო თურმე.

მღვდელი მეტად ნასწავლი იყო, ცოლი არა ჰყავდა და მხოლოდ ორს პანია ვაჟიშვილს შეჰხვროდა. მღვდელი ეკკლესიის გალავანში სცხოვრობდა და რუსთავში მხოლოდ სამსახურის შესასრულებლად ჩადიოდა ხოლმე; მისი ვაჟიშვილები-კი გამუდმებით სცხოვრობდნენ თავის ბიძასთან.

ერთხელ ეს მღვდელი სხვა სოფლებში იყო სამსახურის აღსასრულებლად, სადაც ერთ ახალგაზრდა მეფე-დედოფლის ჯვარის საწერად მიიპატიჟეს. პატარძალი ისეთის სილამაზისა და სიმშვენიერისა იყო, რომ მღვდელს ეშმაკმა სძლია და ამ ქალზედ გულში ცუდი აზრი გაივლო... როდესაც მღვდელი დაბრუნდა რუსთავისკენ და შემოსდგა ჩვეულებრივ ფეხი მტკვარზედ გაღმა – ეკკლესიისაკენ გასასვლელად, ეკკლესიიდგან ხმა მოესმა: „შესდექ, შე წყეულ-შეჩვენებულო და შთავარდი მაგ წყალში, დაირჩე თავი და შეიქენ ეშმაკის კერძი. რადგან ღირსი აღარა ხარ ჩემის წმინდა ტრაპეზისა.“

მღვდელს უგრძვნია თავი დავლუპეო და სული ეშმაკს მივეციო, უშვერია ფეხი და ჩავარდნილა მტკვარში, რომელსაც ხელად ჩაუძირია და შთაუნთქავს თავის აღელვებულ ზვირთებს შორის...

ობლად დარჩენილი მისი შვილები აღზრდილან ბიძასთან. ერთი მათგანი ორის თვალით ბრმა ყოფილა. როდესაც დავაჟკაცებულან, ცოლები შეურთავთ და ხვნა-თესვისთვის ხელი ჩაუვლიათ; ეხლანდელის რუსთავის ვაკე სახნავ-სათესი მიწები იმათა სჭერიათ. ამათ იმდენი პური მოსდიოდათ თურმე, რომ ადგილს ვერა ჰშოულობდნენ ჩასაყრელად. ერთ წელს, როდესაც ეს ძმები გაყრილან, იმოდენა აუარებელი პური მოსვლიათ, რომ განიჩბული ხვავები კარში, მინდორში დარჩენიათ. ძმებს დაუწყიათ ამ ხვავების განაწილება. პურს ჰყოფდა თვალ ხილული ძმა კოდით და ბრმა ძმაც იქვე იჯდა და თვალ-ყურს ადევნებდა თურმე. აავსებდა თვალ ხილული ძმა კოდს პირამიდის და ეტყოდა ბრმა ძმას: „აი, მოუსვი ხელი კოდსა, სავსეა, ეს მეო“, და გადასცლიდა ცალ მხარეს თავისთვის; მერე დააბრუნებდა კოდს, პირქვე მოამხობდა და ძირს ზემოთ უზამდა, ძირზედ ორიოდე მუშა პურს დააყრიდა და ეტყოდა კიდევ ბრმას: „აი, ძმაო, მოუსვი ხელი კოდსა, სავსეა, ესეც შენაო და გადასცლიდა მეორე მხარეს ბრმისათვის“. ბრმა ძმა-კი წყვის დროს ეუბნებოდა: „რა ვიცი, ძმაო, რას ვხედავ მე საწყალი; „სწყავს მწყველი, ჰხედავს ღმერთიო.“ ამ თქმაზედ მთელი იმოდენა პურის ხვავი გამიწებულა და დღეს ეს გამიწებული პურის ხვავი, რომელიც ეხლანდელ რუსთავს ზემოდ, ჩრდილოეთის მხარეს არის, ნამდვილი პურის ხვავს ემსგავსება, სწორედ იმ სახისაა. მოღალატე ძმა გაღარიბებულა და ბრმა ჰალალი ძმა გამდიდრებულა, ღმერთს აუარებელი სარჩო-საბადებელი მიუცია.

ამ ბრმას შვიდი შვილი გასჩენია: სამი ქალი და ოთხი ვაჟი. ვაჟებიც მამასავით ღვთისმოშიშნი ყოფილან. ერთი მათგანი ძალიან მეცნიერი გამოსულა, მთელის ქვეყნის რაც სასწავლებლები, ჭკვიის საპეიტრო ანგარიშები ყოფილა, შეუსწავლია და ხალხში დიდი სახელი გაუთქვამს. ამ დროს ქვეყნის მეფედ თამარ-დედოფალი ყოფილა, რომელსაც საცხოვრებელ ადგილად ვარძია ჰქონია. თამარ დედოფალი თავის სახელმწიფო საქმეებს არჩევდა და აქ სჭრიდა, ერთს დიდ მაღაროში, რომელსაც ეხლაც თამარ დედოფლის „დივანხანას“ უწოდებენ. ეს განათლებული კაცი თამარს ამ კანცელარიაში გამუდმებით მწერალ-მდივნად ჰყოლია. ყოველსავე ქაღალდს ეს განათლებული მეცნიერი სწერდა თურმე, თამართან შეჰქონდა სხვა ოთახში და იგი მხოლოდ ხელს აწერდაო. თამარი ომიანობის, ან სხვა სახელმწიფო საქმეებს ყოველთვის ამ მეცნიერის რჩევით სწყვეტდა, ერთის სიტყვით, თამარის პირველი მახლობელი იყო ეს კაცი, როგორც მოგვითხრობს ხალხის თქმულება.

რა სახელი ერქვა ამ კაცსა, რა გვარისა იყო, ამაზედ ხალხის თქმულება არას გვეუბნება, მხოლოდ რუსთაველ ბრმა კაცის ოთხ ვაჟი შვილთაგანი იყო ეს მეცნიერი...

ვ. კოპტონაშვილი,
სოფ, მუსხი
„ივერია“, 1894 წელი, N21

[1] უწინდელი მღვდლები ქალამნებს იცვამდნენ და იოტის ოდენაც გარეგანის ტანთ-საცმელით კოხტაობას არ იჩენდნენო. ავტ.

ნეხვაუოილის საიდუმლო

მურმან თავდიშვილი

ცნობილი მკვლევარი-რუსთველოლოგი, პროფესორი **ვუკოლ ბერიძე** მიუთითებდა: ისე ღრმა და უძიროა ,,ვეფხისტყაოსნის“ ენობრივი სამყარო, რომ ზოგჯერ რომელიმე კონკრეტული სიტყვის გამოძიება მთელი სრული გამოკვლევის დაწერას მოითხოვსო. რაც უფრო მეტს მუშაობ ამ მიმართულებით, აღნიშნული სიტყვების ჭეშმარიტებაში მით უფრო მეტად რწმუნდები. მართლაც რომ მთელი გამოკვლევის დაწერა სჭირდება პოემაში ნახმარი ისეთი სიტყვების შინაარსისა და მართებული ფორმის დადგენას, როგორებიცაა **კარგი, მეკრე, უცხო, ნეხვი...**

ამჟამად განვიხილოთ ქმნილებაში ორჯერ ნახსენები სიტყვა **ნეხვი**. იგი ორივეჯერ ამ ფორმითაა მომარჯვებული – **ნეხვთა.**

აღნიშნული ლექსემა ბევრჯერ ყოფილა მსჯელობის საგანი. მის შესახებ ვიეთნი რას ამბობდნენ და ვიეთნი – რას!

საგულისხმოა, რომ მასზე მსჯელობა გამართეს პოემის ტექსტის დამდგენ კომისიაში, სადაც თავშეყრილი იყვნენ საუკეთესო რუსთველოლოგები, ცნობილი პროფესორები და აკადემიკოსები, რომელთაც საკითხის ისტორია ზედმიწევნით იცოდნენ. კომისიის სხდომათა ოქმები გამოქვეყნებულია ორ ტომად. მეორე ტომში დაბეჭდილია მკვლევართა მოსაზრებანი. მათ, კერძოდ, სამსჯელოდ აქციეს სტროფი, რომელშიც ჟღერს სტრიქონი:

უმისოდ ნეხვთა ზედა ვზი
ბულბული მსგავსად ყვავისად.

*ტაეპს მოსდევს კომენტარი: ,,ც. კიკვიძისა და ს. ცაიშვილის აზრით, ნეხვი ჩვეულებრივი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ; ,,ვეფხისტყაოსანში“ მას ყვავილის, მცენარის მნიშვნელობა არა აქვს; **ი. გიგინეიშვილის, შ. ძიძიგურის, გ. კარტოზიას** აზრით, არ არის გამორიცხული, ნეხვი ,,ვეფხისტყაოსანში“ ყვავილის მნიშვნელობით იხმარებოდეს“* (II, 47).

როგორცა ვხედავთ, გადაჭრით ვერც ერთი მხარე ვერ აცხადებს, ნეხვი მცენარეა თუ არამცენარე, ვთქვათ, ნაკელი, ფუნა. მკვლევრები ოდენ ვარაუდს გვთავაზობენ. ეს კი მეცნიერება აღარაა. ამასთანავე, როგორც დავინახეთ, არც ერთ მხარეს რაიმე სამეცნიერო არგუმენტი არ მოჰყავს.

ჩვენი აზრით, იძებნება არაერთი საბუთი, რომლებიც საკითხის გადაწყვეტის საშუალებას იძლევიან.

არგუმენტი პირველი:

პოემაში ნეხვი, შეუძლებელია, ჩვეულებრივ, დღევანდელ გაგებას შეიცავდეს. ამაზე მეტყველებს უბრალო ლოგიკა. შევიხსენოთ ქმნილების სხვა ადგილი, სადაც ნათქვამია:

ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე
სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა ნუმცა
შენ მოგეწყინების!

როგორც კარგად ვხედავთ, აქ ერთურთს უპირისპირდება ვარდი და ნეხვი, რაც იმას მოასწავებს, რომ ორივე მცენარეა!

მთავარი სხვა რამაა: თუ ქართველ გლეხკაცს ფუნას ადარებს რუსთველი, მაშინ რაღა

კაცია?! ნუთუ მაღალი სულიერებისა და მამულიშვილური პათოსის მქონე ავტორი ამგვარ მკრეხელობას ჩაიდენდა?! მეორეც, განა გონიერებით, მაღალი პასუხისმგებლობით აღვსილი მამა-მეფე როსტევანი ასეთ რასმე ასწავლის და შეაგონებს ქალიშვილს, რომ თავადი ვარდია, ხოლო გლეხკაცი – ფუნა?!

ნუ იყოფინ?

ესეც მეორე არგუმენტი.

უფრო მნიშვნელოვანია **მესამე არგუმენტი:**

რუსთველი პარალელიზმის დიდოსტატია. ავიღოთ ცნობილი მონაკვეთი:

ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე
სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა
ნუ მოგეწყინების!

ვხედავთ: ერთი მხრივ, ერთურთს დაუპირისპირდა ვარდი და ნეხვი, ხოლო ამის შესაბამისად, პარალელიზმის კანონიდან გამომდინარე, მეორე მხრივ, ერთმანეთს დაუპირისპირდა დიდთა და წვრილთა.

ვინაა დიდი და ვინაა წვრილი?

ეჭვი არაა, დიდნი გახლავან ბობოლა არაბები, წარჩინებულნი, დიდებულნი, თავადნი, ხოლო წვრილნი არიან ხელოსნები, გლეხები, მუშები, ანუ წვრილი ხალხი, დაბალი ფენა, წვრილი ერი.

ამისდა კვალობაზე უნდა განვიხილოთ პარალელიზმის პირველი წყვილიც. ეჭვი არაა, დიდთას შეესატყვისება ვარდთა. მაშასადამე, დიდია ვარდი, ხოლო, თუ წვრილთას პარალელს მოვუძებნით, შეუძლებელია ის იყოს ფუნა, რადგან ფუნა ვარდზე დიდია?

მარტო ამ ლოგიკითაც კი შეუძლებელია, **წვრილი ნიშნავდეს ნეხვს** (ფუნას).

მაშასადამე, რაკიღა დიდი გახლავთ ვარდი, ნეხვის ყოილი უნდა იყოს რაღაც მცენარე, რომელსაც წვრილი ყვავილი აქვს, ყოველ შემთხვევაში, დიდ ვარდზე პატარა მაინც.

ირკვევა: ეს მართლაც ასეა და ისიც დგინდება, რომ ნეხვს ჰქონია მეორე სახელიც, სწორედ ისევე, როგორცა გვაქვს ბია და კომში.

ნეხვის მეორე სახელი ყოფილა **წალიკა.**

,,ვისრამიანში“ აღმოვაჩინე იგივე პარალელიზმი, როგორიც ,,ვეფხისტყაოსანშია“. იქაც ვარდს უპირისპირდება მასზე მდაბალი და პატარა საგანი და ეგ საგანი გახლავთ ასევე მცენარე, ოღონდ ხარისხით დიდად მდარე. აი, ეს სენსაციურად მნიშვნელოვანი პასაჟი. ვისი აცხადებს: **,,მე ვარდი დავთესე და მისგან ნაყოფი მომივიდა, აწ ბედითსა მყრალსა წალიკასა აღარ ვეძებო“** *(ქართული მწერლობა, 3, 200).*

ამრიგად, გაირკვა, რომ სურნელოვან ვარდს (მცენარეს) უპირისპირდება მყრალი **ნეხვიყოილი,** რომელსაც მეორე სახელად რქმევია წალიკა.

ახლა კი ვნახოთ, რას წარმოადგენს წალიკა. ეს გახლავთ ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე მატიტელასებრთა ოჯახისა; აქვს მოგრძო ფოთლები და მტევნებად ან თავთავისებურად შეკრული წვრილ-წვრილი წითელი ყვავილები. ეგ წვრილი ყვავილები ჩარიგებულია ერთმანეთის მიყოლებით, მწკრივად; ლათინურად ეწოდება ასე – **პოლყქონუმ ჰყდროპიპერ** (ქეგლ-ი, ერთტომეული, 1986, 551).

აქედან არის შექმნილი სამეტყველო ერთეული **წალიკ-წალიკად,** რაიც გულისხმობს ერთიმეორის მიყოლეებით, მწკრივად რაიმეს დაჯრას ან სვლას; აქედანვე მომდინარეობს სოფლის სახელი **წალიკარი** და ქალაქის სახელწოდება *წალკა (წალიკა → წალკა).*

ამრიგად, ნათელი გახდა, რომ ,,ვეფხისტყაოსანში“ ერთურთს უპირისპირდება სურნელოვანი მსხვილი ყვავილი ვარდი და მდარე ხარისხის წვრილი ნეხვიყოილი, იგივე წალიკა; პარალელიზმის არსიც გამოიკვეთა: მსხვილ ვარდსაც და წვრილ წალიკაყვავილსაც თანაბრად ეფინება მზე და შენც, მზეო თინათინ, თანაბარი პატივი მიაგე დიდგვაროვნებსაც და წვრილ ერსაც!

როგორცა ვხედავთ, ცამდე მართალი გამოდგა ვუკოლ ბერიძე, როცა აცხადებდა: **,,ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი სიტყვის განმარტება მთელი გამოკვლევის დაწერას უტოლდებაო!**

ვფიქრობ, ამიერიდან მაინც აღნიშნული საკითხი აღარ გახდება დავისა და კამათის საგანი.

„პოეზიის დღე“

დღეს, 7 მაისს, მწერალთა კავშირის თაოსნობით იმართება „პოეზიის დღე“. ჩვენი ქვეყანა, მთელი ჩვენი ხალხი დღეს ჩართულია სამშობლოს დაცვის საქმეში. მტერი კარს არის მომდგარი, სამხედრო მოქმედება კიდეც დაიწყო და ჩვენი დემოკრატიის ყურადღება მის მოგერიებაზეა მიპყრობილი. მაგრამ ჩვენი ხალხის განსაკუთრებული თვისება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას ყოველთვის ერთ ხელში ხმალი სჭერია, მეორეში გუთანი, ერთი ხელით მტერი უგერიებია, მეორით უშენებია. დღესაც ამ თვისებამ იჩინა თავი. რა არ დაატყდა ჩვენს ხალხს ამ უკანასკნელ წლებში, რამდენი მტერი არ ეტაკა ჩვენი ქვეყნის კედლებს, მაგრამ ჩვენმა დემოკრატიამ მტერსაც პასუხი გასცა და სახელმწიფოს შენების საქმესაც გაუწია ანგარიში.

ჩვენი დემოკრატია მეტადრე კულტურულ მუშაობას აქცევს დიდს ყურადღებას. არასდროს არ ყოფილა საქართველოში იმდენი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება, როგორც დღეს, და ამ დაწესებულებებში არას დროს არ ყოფილა ისე გაცხოველებული მუშაობა, როგორც დღეს, როდესაც ხალხს ბუმბერაზული მუშაობა უხდება ქვეყნის დაცვისათვის.

ყველა ეს ჩვენი დემოკრატიის საღ სასიცოცხლო ინსტინქტით აიხსნება: იგი გრძნობს, რომ თავდაცვის საქმე მხოლოდ მაშინ არის მტკიცე და მაგარი, როდესაც სახლში გაქვს ისეთი ძვირფასი რამ, რის დაცვაც სიცოცხლის შეწირვად ღირს.

პოეზია კულტურის უძვირფასესი და უფაქიზესი დარგია. დღეს იგი ვერ დგას იმ სიმაღლეზე, როგორიც შეეფერება ჩვენი ხალხის შეგნების და მოქალქეობის დონეს. ეს ადვილი ასახსნელიც არის. მაგრამ ჩვენს მწერლობას მაინც აშკარად ემჩნევა ერთნაირი გზის ძიება, ჩვენი პოეზია დუღილის პროცესს განიცდის და ეჭვი არ არის, იპოვის სწორ გზას და მხარში ამოუდგება ჩვენს პოლიტიკურს და მოქალაქეობრივს შემოქმედებს. ამ ძიებაში პოეზიას მხარი უნდა დაუჭიროს მთელმა ხალხმა, მთელმა დემოკრატიამ. „პოეზიის დღე,“ მიუხედავად ფრონტზე მოქმედებისა და ფრონტისთვის მზადებისა, მაინც ღირსეულად უნდა ჩატარდეს.

„ერთობა“, 1920 წელი, N101

მუსხელი აშუღი



ჩვენი გაზეთის ერთგულმა მკითხველმა კარგად იცის, რომ სამცხე-ჯავახეთში, წინა საუკუნეებში, არაერთი შესანიშნავი სახალხო მთქმელი თუ აშუღი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, რომელთა სახელები თანამედროვეობას დღემდე შემორჩა და მათი შემოქმედება ახლობელი და საყვარელი გახდა ხალხური პოეზიის მოყვარულთათვის. ამასთან, გაზეთმა „ლიტერატურულმა მესხეთმა“, წლების განმავლობაში, კიდევ ბევრი საინტერესო აშუღისა თუ სახალხო მთქმელის სახელი გამოამზეურა და ფართო საზოგადოებას მიაწოდა „მესხური ფოლკლორის“ სამტომეულის ორი ტომის სახით, სადაც განსაკუთრებული ადგილი მათ შემოქმედებასაც უკავია. გარდა ამისა იყვნენ აშუღები, რომლებიც ახალხურებდნენ დიდი რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“ და ფართო საზოგადოების ყურადღებას იპყრობდნენ. ორიოდე წლის წინ მკითხველს მივაწოდეთ „საქტელერადიოს“ ოქროს ფონდში დაცული შოთა რუსთაველის 750-ე საიუბილეო წელთან დაკავშირებით ახალციხის რაიონის სოფელ მუსხში გადაღებული რამდენიმე კადრი, რომელმაც ცხოველი ინტერესი გამოინვია. მუსხელი აშუღის მიერ ძალზე მოკლე კინო-ფირიდან ნათლად ჩანს, რომ აშუღი ქართულად მღერის (აშუღების ძირითადი უმრავლესობა ფაქტიურად, თურქულად მღეროდა) „ვეფხისტყაოსნიდან“ – „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები...“ გვიან, მაგრამ ჩვენმა გამოქვეყნებულმა სურათებმა ადრესატი მაინც იპოვა და ახლახან სოფელ მუსხიდან გამოგვეხმაურა ამ აშუღის – **ალექსი ივანეს ძე სუდაძის** შვილიშვილი **ჯუმბერ სუდაძე,** რომელმაც მოგვაწოდა მისი ფოტო სურათი, გადაღებული გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს. როგორც სოფლის უხუცესები ამბობენ, სუდაძე იმხანად ცნობილი აშუღი ყოფილა სამცხე-ჯავახეთში (ბუნებრივია, ასეც რომ არ ყოფილიყო, მისი ჩაწერა არსებული სიტუაციიდან გამომდინარე „საქტელერადიოს“ მიერ არ მოხდებოდა!), მას მოვლილი ჰქონდა რეგიონის თითქმის ყველა სოფელი და „ვეფხისტყაოსნის“ გარდა მღეროდა როგორც საკუთარ, ასევე შივლასა და მესხეთში მცხოვრები სხვა აშუღების სიმღერებსაც. იგი თავისუფლად ფლობდა რამდენიმე ენას – თურქულს, სომხურს, აზერბაიჯანულს, რუსულს. ამასთან, როგორც ამბობენ, ბევრი ლექსიც ჰქონია და იმედს ვიტოვებთ, რომ მისი შთამომავლების დახმარებით მოძიებული და ფართო საზოგადოებისთვისაც გახდება ისინი ცნობილი.

აქვე გთავაზობთ ალექსი სუდაძის ერთ პატარა ლექსს:

ჩემი სამშობლო ის არი
და ჩემი სუნთქვა იგია,
მიწა სითბოთი, სიტკბოთი,
ბაღ-ვენახებით დიდია,
წყალი კამკამა, ანკარა,
ჩვენ მზრუნველობით ივლიან.

ავთანდილ ბერიძე

დურმიშხან ბერიძე

მოტორტმანე ზღვას ჰგავდა მონღოლთა ბანაკი. უზარმაზარ ტრამალზე დასალიერიდან - დასალიერამდე იწოდა უთვალავ კოცონებად ანთებული ველები. დაუჭედავ ცხენთა ჭიხვინი, ბრძოლებში ნაგლეჯილი ცხვრების, ძროხებისა და ხარების ბღავილი აყრუებდა მიდამოს.

ბრტყელსახიანმა მეგზურმა ერთ მომცრო ბექობზე შეაჩერა ცხენი და ქართველთა დესპანს უნაგირიდან გადმოსვლა უბრძანა.

შავი ღრუბლები შემოსწოლოდა ტრამალზე გაშლილ მონღოლთა ბანაკს. კვამლის სვეტები ღრუბლებისკენ მიიკლაკნებოდნენ და უძირო ზეცის სიღრმეში იკარგებოდნენ.

თეთრქეჩიანი იურტების პირისპირ გაშალეს ქართველებმა კარვები. ცხენებს უნაგირები შეხსნეს, აღვირები ლაშებიდან წაჰყარეს, ფეხები დაუბორკეს და მსახურებს უბრძანეს, კარვების სიახლოვეს მიეშვათ საბალახოდ. საქმეში ხელგაწაფულმა მსახურებმა დაბინდებამდე დაიჭირეს ღამის თევის თადარიგი. თივიან ჯვალოს ტომრებში საგულდაგულოდ გადამალული ორიოდე ტიკი ღვინო გადმოიღეს, თონის ხმელი პურები კოცონებიდან გადმოქექილ ნაღვერდლებზე მიაფიცხეს და ნესტიან ბალახზე გაფენილ ნაბადს შემოუსხდნენ გარშემო.

პირველად შორეული საქართველოს სადღეგრძელო შესვეს უხმოდ, მერე მეფე დავითი ადღეგრძელეს. ანანიას თვალი გაექცა შორიახლოს დადგმულ შვინდისფერი დროშით დამშვენებულ ბაგრატიონთა კარვისაკენ. ხმელი პური და ცხვრის ყველი ნაიტეხა, შორეული მგზავრობით დაღლილ საქართველოს მეფის მხლებლებს აღარ ჰქონდათ ჭამის მადა. თვალებმილულულები უღიმღამოდ ილუკმებოდნენ, თან კარვის სიახლოვეს აბრიალებულ კოცონისთვის მიეშვირათ ბეჭები და სველ ჩოხებს ტანზევე იშრობდნენ.

ღამის ბინდი ჩამოწვა ირგვლივ. ცხენების ფრუტუნი და შორეული გნიასი მოჰქონდა ძვალისა და რბილის გამჭოლ ქარს.

ჯვარი ისევ ჩაიდო უბეში. „მშიაო," ანიშნა ხელით.

ანანიამ ხურჯინიდან ყველი და პური ამოიღო. უხმოდ დაუდო მუხლებზე. ჯაბანამ კარვის ჩამოკეცილი კალთა ასწია მაღლა, მოძებნა ტიკი. ქამარზე მიბმული მომცრო ყანწი შეიხსნა, ღვინით აუვსო და მიანოდა უცხოს. ხარბად დააცხრა ხმელ პურსა და ყველს ცხვირმიჭყლეტილი. მადიანად ილუკმებოდა, თან ყლუპ-ყლუპით ატანდა ღვინოს. შიმშილი რომ დაიოკა, ხელებზე დაიხედა, უცნაურად დაატკაცუნა თითები. კალთაში მიმოფანტული პურის ნატეხები აკრიფა, ხელისგულზე დაიყარა, ეამბორა. უბიდან ამოღებულ ძონძში გაახვია და ჯვრის გვერდით უბეში მიუჩინა ბინა.

ერთ ხანს ხმის ამოუღებლად იჯდა. მერე აუცახცახდა მხრები და ტირილი წასკდა. უხმოდ იჯდა ანანია. ელოდა როდის შეწყვეტდა ტირილს უცხო.

მეფე დავითი ნადირობისას. მინიატურა მარკო პოლოს წიგნიდან

ყანაზე გამაჩინა, რომ მარტოდ მარტო დამტოვა ჩემს უბედურებასთან პირისპირ.

ფეხზე წამოდგა მოხუცი, მჭიდროდ შემოიტმასნა ალაგ-ალაგ გამოგლეჯილი ცხვრის ტყავის სამოსი. მიწამდე დახარა თავი. ჩუმი ლოცვითა და პირჯვრის წერით გაიარა კარვის კარები და კუპრივით ბნელ ღამეს მისცა თავი.

ირიჟრაჟა. ჩაიფერფლა ტრამალზე დანთებული კოცონები. ერთხანს სიწყნარემ დაისადგურა ქართველთა კარვებთან.

ვარდანას წასვლის შემდეგ კვლავ თივაზე გაფენილ ნაბადში გაეხვია ანანია. თვალები მილულა. ძილი არ მიეკარა მის მოთენთილ ქუთუთოებს. ერთხანს ისე უთავბოლოდ იწრიალა, ერთმანეთს შეუჯერა ნანახი და განცდილი. ამ ზღვა-ოკიანეში პაწაწინა კუნძულად წარმოუდგა ოდესღაც ძლიერი საქართველო. მხოლოდ მთები, კავკასიის მეფე დავითმა ერთი ნაბიჯი წარსდგა უკან. თვალებზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და იქვე გაშლილ შავ ნაბადზე მოკალათდნენ გვერდიგვერდ.

წუთით მიწყნარდა ურმების გაბმული ჭრიალი. მხოლოდ ცხენთა ჭიხვინი და მეომართა ხორხოცი მოისმოდა შორიდან. დაცემულ ველს კალიებივით მოსდებოდა მონღოლთა ურდო.

საღამოს მეფის კარავში გაშალეს ლხინის სუფრა. საამოდ ციმციმებდნენ ცვილის სანთლები. ბანაკის გარშემო დანთებული უზარმაზარი კოცონების ალი წითლად ანათებდა ხორაგით სავსე მაგიდას.

მთავრე ახალი გამოსული იყო, როცა ათიოდე ცხენოსნის თანხლებით მოადგა მეფის კარავს აშაღა ნოინი. მხიარულად უელავდა თვალები. ვერცხლისა და ოქროსფრად ამოქარგული ხალათი ათასფრად უბრწყინავდა კოცონების შუქზე. წელზე ძვირფასთვლებიანი ქამარი შემოერტყა, ხელშიც მოოქროვილი მათრახი ეჭირა.

მეფე დავითი გულთბილად გამოეგება სტუმარს. ხელით წაჰყარა მის ცხენს ლაშებიდან აღვირი, ქერით სავსე თოფრაკი ჩამოაცვა კისერზე და სამეფო კარავთანვე დააბა. ცხენს გავაზე ხელი გადაუსვა აშაღა ნოინმა, მერე ყვრიმალთან მოუთათუნა ხელი.

– დასავლეთის მთების იქით კიდევ მთებია. ვიდრე აქედან იმ მთებს მიაღწევ, ერთი გაზაფხული დადგება. მთების ძირას უზარმაზარი ტბაა გაშლილი. ტბის ჩრდილოეთით კიდევ მთებია აღმართული. ამ მთებში ციყვებზე მონადირენი ცხოვრობენ. იმათ ნოინს წავართვი ეს ცხენი. ასი მეომარი მოვუკალი ბრძოლაში, თვითონ ცოლებიანად ჩავიგდე ხელში და ბათო-ხანს მივგვარე.

ბათო-ხანს ერთგულება შეჰფიცეს ციყვებზე მონადირეთა ტომებმა, ამიტომაც აჩუქა დიდმა ბათომ იმათ ნოინს სიცოცხლე.

აშაღა ნოინმა თოფრაკიდან მუჭით ამოიღო ქერი, ლაშებთან მიუტანა ცხენს და ლოყა აუხახინა შუბლზე.

– თუ ეს მშიერი მეგულება, მე არ შემიძლია

საჯინთველოს

დაღლილობას სძლია ანანიამ. მეფის კარვის დარაჯები შეცვალა, მერე კარავში დაიბარა ჯაბანა.

– ჭირთა თმენა აღარ გვესწავლება, ჯაბანა. სიფხიზლე ჩვენი უპირველესი საზრუნავია ამ წარმართთა ქვეყანაში. მეფე დავითისა და ჩვენი პატრონის ერისთავთ-ერისთავის სარგის ჯაყელის სიცოცხლე ყველა ჩვენთაგანის სიცოცხლეზე მეტად გვიღირს. იცოდე, მათ რომ შეემთხვათ რაიმე, იმ ქვეყანაშიც კი არ გვაპატიებენ დანაშაულს.

ჯაბანა გულდასმით უსმენდა მანდატურთა ასისთავს. უბეში საგულდაგულოდ შენახული მოვერცხლილი ჯვარი ამოიღო, ხელის გულზე დაისვენა, ზედ სათუთად გადაუსვა თითები:

– ამის მადლმა, სიცოცხლე არად მიღირს, სამშობლოსათვის შეწირულ ზვარაკად მიგულეთ. საკუთარი ფრჩხილებით დავითხრი იმ თვალებს, რომლებიც ამ ღამით ჩემს ნება-სურვილს არ დაემორჩილებიან! – თქვა მტკიცედ. ტუჩებთან მიიტანა ჯვარი, კრძალვით ეამბორა და კვლავ უბეში მიუჩინა ბინა.

კუპრივით ბნელი ღამე ჩამოწვა. ბიჭებმა ფეხებდაბორკილი ცხენები კარვების სიახლოვეს მორეკეს, აღვირებით გადააბეს ერთმანეთს და ყოველი მხრიდან მიუჩინეს გუშაგები.

ამოვარდნილი ქარი აღარ ჩადგა ტრამალზე. კოცონებიდან ახვეტილი ნაპერწკლები შორს, დასავლეთისკენ მიფრინავდნენ ფარფატით. ღამის ბინდში გულისწამღებად ღმუოდა ქარი. კარავში ცვილის სანთელი ციმციმებდა.

შუაღამე გადასული იყო, როცა კარვის კალთა გუშაგმა ასწია. თივაზე ნაბადში გახვეულ ანანიასაკენ დაიხარა და ნელი შეხებით გამოაღვიძა მანდატური.

– უცხო კაცი შევიპყარით, ბანაკის სიახლოვეს, – თქვა ჩურჩულით, – მეფის კარავს უთვალთვალებდა შორიდან. საღამოპირსავე შევნიშნეთ იგი, ორჯერ დავაპირეთ მისი შეპყრობა, ორჯერვე ხელებშუა გაგვიძვრა. თუმცა მონღოლურად ჩიფჩიფებს ჩვენთვის გაუგებარ სიტყვებს, მაგრამ მონღოლი არ უნდა იყოს. იქნებ ცუდი განზრახვა უდევს გულში, თორემ ამ შუაღამისას რად დაიწყებდა წანწალს ჩვენი კარვების სიახლოვეს?!

– მათხოვარი იქნება ვინმე. ალბათ, ჩვენი ცხენები მოეწონა! – ღიმილით თქვა ანანიამ. ფეხზე წამოდგა. მბჟუტავ სანთელს წამოავლო ხელი, ახლოს მიუტანა უცხოს. მისი ჭაღარა წვერი და უცნაურად მიჭყლეტილი ცხვირი ეცა თვალში, ბეჭებში ოდნავ მოხრილს უსაშველოდ გრძელი მოუჩანდა ხელები. მძიმედ სუნთქავდა და თვალებს აცეცებდა აქეთ-იქით.

თასით წყალი მიაწოდა ანანიამ, კარვის კუთხეში დაყრილ თივაზე მიუთითა და, დაჯექიო, ანიშნა ხელით.

უსიტყვოდ დაემორჩილა მის ბრძანებას ცხვირმოჭყლეტილი, სველ თივაზე მოიკალათა თურქულად. გულზე მიიდო ხელები. ლოცვასავით ჩაიჩიფჩიფა გაუგებარ ენაზე რაღაცა. ორივ ხელით გადაიწია მკერდზე დაფლეთილი სამოსი. ჭაღარით გათეთრებული მკერდი გამოაჩინა, მომცრო მოვერცხლილი ჯვარი ამოიღო უბეში დამალული, კრძალვით ეამბორა, თითქოს მიახვედრა, „ქრისტიანი ვარო", მერე პირჯვარი გადაიწერა.

ღრუბლების ზემოდან მთვარე გამოსულიყო. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა არც ისე გულცივად იმზირებოდა, როგორც ეჩვენა თავდაპირველად.

ჭრიჭინების გაბმული ჭრიჭინი ისმოდა. შუბიანი გუშაგების სულუეტები მოსჩანდნენ სამეფო კარვის სიახლოვეს.

ტირილი შეწყვიტა უცნობმა. თავი ასწია მაღლა. ერთხანს ცრემლიანი თვალებით მისჩერებოდა ანანიას.

– სიხარულმა გონება დამიხშო... ასე მეგონა, ამ კარავამდე ვერ მოვაღწევდი... თქვენებური კაცი ვარ, თბილისელი, ახალგაზრდობაში ვარდანას მეძახდნენ...

სლუკუნი აუვარდა კვლავ. თავს ძალა დაატანა. ხელის გულებით მოიწმინდა ცრემლი.

– მე, მე ბედშავს, ვარდან დიდვაჭარს მეძახდნენ, ოდესღაც... ოცი წელია დავივიწყე, ვინ ვარ მე... სიბერეც შემომიჩნდა... ამ ტრამალებზე ვათენებ და ვაღამებ, მონღოლ დიაცთა ცხენების ჩონჩორში მოსვრილი.

გიკვირთ, არა? ქართული რომ არ დამვიწყებია ამდენი ხანია. მშობლიურ ენაზე უკეთესად ვიცოდი, ოდესღაც. ჩემი მშობლებიც ხომ თბილისელები იყვნენ... დიდვაჭარ მამაჩემის სახელი მთელს დუნიაზე ჰქუხდა. ქაიროს, დამასკოს, ბაღდადისა და ალეპოს ბაზრებში გულისფანცქალით მოელოდნენ ჩვენს გამოჩენას დიდებულთა მანდილოსნები... ბავშვობიდანვე მამის დახმარებით შევეჩვიე ვაჭრის რთულ ცხოვრებას.

ბაღდადელი თუ ეგვიპტელი ხალიფები მოკრძალებით ახსენებდნენ ქართველ გვირგვინოსნებს...

სადაც არ უნდა გამოვჩენილიყავით, ყველა საქარავნო გზა ხსნილი იყო ჩვენთვის. ტკბილ სიზმარივით მახსენდება ყოველივე. ასე მეგონა, არ არსებობდა ქვეყნად ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველოს წალეკვა.

ეჰ, თურმე ვცდებოდი მე ბედშავი...

ვარდანა დადუმდა. ბუტბუტით წარმოსთქვა ლოცვა. მერე მძიმედ ამოიოხრა:

– თქვენი მოსვლა რომ შევიტყვე, გულით გავიხარე. ასე მეგონა სიჭაბუკის წლები დამიბრუნდა. მადლობა შევწირე ღმერთს, რომ ამ სიბერეში მაინც თქვენი ხილვის ღირსი გამხადა. ახლა ვის რაში სჭირდება ჩემი ბებერი თავი.

ისღა დამრჩენია, სანუგეშოდ თქვენი კარგად ყოფნა შევთხოვო მაღალ ღმერთს. აქ, ყოველ ნაბიჯზე, ხიფათი თან სდევს ადამიანს. მგელი უნდა იყო და ცხვარივით დადიოდე, მელა უნდა იყო და შენი ჩრდილისა გეშინოდეს... ყოველ მონღოლს არწივის გული უდევს მკერდში. მოკვდება, მაგრამ ზურგს არ გიჩვენებს... ამქვეყნად თითქოს მხოლოდ იმისთვის გაჩენილა, რომ უცხო თესლის ადამიანი მოკლას, სახლი დაუწვას, ცოლი წაართვას, შვილი გაუყიდოს და გადასახადი დაუწესოს იმისათვისაც კი, რომ სუნთქავს ჰაერს...

მეც არაფერი შემარჩენია, მომსპეს და გამაუბედურეს, მომთხარეს და დამწვეს. წამართვეს რაც მებადა. ხშირად ამ ტრამალებზე დავდივარ ეულად, ბალახებს ვალბობ ცრემლით, ვწყევლი ყველას – თვით მაღალ ღმერთსაც კი, რომ ამ ქვეყანაზე ასეთი ჩაიდო უბეში.

მიუვალი მთები თუ დაიფარავდა დასაღუპად განწირულ მის ქვეყანას... რა პატარა ყოფილა იგი, რა დიდი გული ჰქონია, – მებრძოლი, უდრეკი... მხოლოდ ერთობა – აი რა სჭირდება ამაჟამად მას.

ცხენთა ჭიხვინი და გაურკვეველი, შორეული გნიასი მისწვდა მის მახვილ სმენას. ყური მიუგდო ტრამალიდან მოსულ ხმაურს.

ფეხზე წამოდგა. კარვის კალთა ასწია და ახედა ჰორიზონტზე ავარდნილ ნაცრისფერ კორიანტელს. კარვის სიახლოვეს დარჭობილ გუშაგთა ყურადღებაც იქითკენ იყო მიპყრობილი.

ქართველთა კარვებისკენ კუს ნაბიჯით მოიწევდა საეჭვო კორიანტელი. დილის სიომ თანდათან მოიტანა ცხენთა ჭიხვინი და გაუქონავ ურემთა ჭრიალი. ანანიამ შორიდანვე დალანდა მხედართა დიდი ჯგუფი. ორასამდე იქნებოდა. თეთრ ცხენზე ამხედრებული, ბეჭებში ოდნავ მოხრილი ცხენოსანი მოუძღოდა წინ.

ანანიამ გოგინას ნაჩუქარი აბჯარი გადაიცვა სასწრაფოდ ტანზე, ზემოდან უბრალო ჯვალოს სამოსი მოისხა, ხმალი და ხანჯალი შემოიკრა წელზე და მეფის კარვისაკენ გასწია მგლური ნაბიჯებით.

მეფე დავითი პერანგისამარა იდგა კარვის კარებთან. სარგის ჯაყელთან და მამა ბასილთან ერთად თვალგაშტერებით უმზერდა ქართველთა კარვებისაკენ მომავალ ცხენოსნებს.

ანანია რომ შენიშნა, თავისთან იხმო. საბრძოლო მზადყოფნა ბრძანა.

შორეული ცარიელი ველი აივსო ათასფრად მორთული ბრბოთი. უცნაური ხორხოცი და ღნავილი ნახტომისათვის გამზადებული ფოცხვერის ღნავილს ამსგავსა ანანიამ. ტანზე აბურძგნა.

მეფე დავითის კარავს მჭიდრო წრედ შემოერტყნენ ქართველთა მცირერიცხოვანი მეომრები. საჭირო იყო მეფის ბრძანება და თითოეული მათგანი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებდა მეფის გადასარჩენად.

სამეფო კარვისკენ მქროლავი მონღოლები წუთით შედგნენ. მერე თხუთმეტიოდე მებრძოლი გამოეყო ძირითად რაზმს და ცხენჭენებით გამოიჭრნენ წინ. ანანიამ თვალი მოჰკრა, – საზეიმოდ მორთული გამოვიდა მეფე დავითი კარავიდან. სახე გაბრწყინებოდა. აღტაცებას ვერ მალავდა. ხელები გაეშალა და სარგის ჯაყელის თანხლებით მქროლავ მონღოლებისაკენ გასწია ჩქარი ნაბიჯით. მეფისაგან ათიოდე ნაბიჯის დაშორებით შედგნენ მონღოლები. თეთრი ცხენიდან სწრაფად გადმოიჭრა წვერჭაღარა მხედარი. რამდენიმე ბაჯბაჯა ნაბიჯით წარსდგა წინ. ხელები მაღლა აღაპყრო და თავიდან მელიის კუდით დამშვენებული ქუდი მოიშვლიპა.

ცხენის ნალის მსგავსად ერთი ყურიდან მეორემდე რამდენიმე თითის დადებაზე გადაპარსული თავი გამოუჩნდა მხედარს. საქოჩრეზე წამოზრდილი თეთრი თმა წარბებამდე ჰქონდა ჩამოშვებული. ქალივით მოზრდილი თმისაგან ორი ნაწნავი გაეკეთებინათ მისთვის და ყურების უკან, კეფაზე დაეხვიათ საგულდაგულოდ.

მეფე დავითი მკვირცხლად მიეჭრა. ხელები გადახვიეს ერთმანეთს, რამდენიმე წამი თვალი თვალში გაუყარეს და ლოყა მიადეს ლოყაზე.

ერთხანს იდგნენ ასე გარინდებულნი. მერე ხელი შევახო საჭმელს. მეტი რა უნდა ჯიგიტს; კარგი ცხენი, მძლავრი მარჯვენა და ლამაზი ცოლი.

დავით მეფემ დაუდასტურა ნათქვამი.

– როგორ არიან ჩემი ცხენები? საკვები ხომ არ მოკლებიათ გზაში. ვუბრძანებ და ხვალვე მოგართმევენ ქერს. ჯოგები ვიგდეთ ხელში დასავლეთის ქვეყნებში ლაშქრობისას. ას-ას ძროხასა და ხარს მოგიძღვნი ხვალვე.

წუთით შედგა აშაღა ნოინი და წვერზე ჩამოისვა ორივე ხელი.

– – ისეთი ცისფერთვალება ლამაზი ასულები მერგო წილად, მინდა მთელი დღე მართობდნენ თავიანთი სიმღერებით.

მერე ცას ახედა. ერთ ხანს თვალმოუხუჭავად მისჩერებოდა მოკაშკაშე ვარსკვლავებს.

– ცაზე კი არ არის იმდენი ვარსკვლავი, რამდენი ქვეყანაც დავლაშქრეთ ძლევამოსილად. ბათო-ხანის სახელი შიშის ზარს სცემს დასავლეთის ქვეყნების მეომრებს რკინის ტანსაცმელში რომ ჩაჭედილან და შეუვალი ჰგონიათ თავი. ჩვენი მებრძოლნი დიდ ზღვამდე გავიდნენ და უზარმაზარი კოცონები დაანთეს მთაზე, რათა ბრძოლებში დაღუპულ თანამებრძოლთა სულებს ადვილად შესძლებოდათ ღმერთებთან ასვლა.

აშაღა ნოინმა კმაყოფილების ნიშნად კვლავ წვერზე ჩამოისვა ხელები და თამამად შეალაჯა სამეფო კარავში. მუთაქებითა და ბალიშებით მოფენილ ხალიჩაზე მოიკალათა და გვერდით მოისვა ქართველთა მეფე.

დავით ულუს გვერდით სარგის ჯაყელი დაჯდა რბილ მუთაქაზე, მერე მამა ბასილი, ბოლოს აშაღა ნოინის მხლებლები მიუსხდნენ სუფრას.

ღვინით სავსე ფიალები ჩამოურიგა ანანიამ სტუმრებს. აშაღა ნოინისათვის განკუთვნილი სავსე დიდი ფიალა დავითს მიართვა. დავითმა რამდენიმე ყლუპი მოსვა, – კარგიაო, – ანიშნა ანანიას. მერე ბოლომდე გაავსებინა ფიალა და მიანოდა სტუმარს.

აშაღა ნოინს თვალი არ მოუშორებია დავითისათვის. მოწოდებული ფიალა ერთხანს ხელში ატრიალა, მერე ძირს დადგა და წყლით სავსე ფიალის მორთმევა ბრძანა. ანანიამ უსიტყვოდ აასრულა ბრძანება.

აშაღა ნოინმა მკერდიდან ლომისსახიანი ოქროს ფირფიტა მოიხსნა. ბუტბუტით ილოცა მასზე, თავისთვის. მერე სამჯერ ჩატოვა და ამოიღო ფიალიდან. ენით გალოკა ფირფიტაზე დარჩენილი წყლის წვეთები. ფიალა ტუჩებთან მიიტანა. ნახევარი თვითონ მოსვა, ნახევარი მეფეს შეასვა თავისი ხელით.

ლომისსახიანი ფირფიტა ჯერ შუბლზე მიიდო, მერე მოკრძალებით ეამბორა და მკერდზე ჩამოჰკიდა დავითს.

– დღეიდან შენი მტერი ჩემი მტერია, იცოდე, ჩემი ძმა შენი ძმაა. ამ ფირფიტით მთელს მონღოლთა საბრძანებელში, სადაც მზე არ ჩადის, შენთვის ყველა გზა ხსნილი იქნება.

ჩემი მრავალრიცხოვანი ურდოს ისეთივე მბრძანებელი გახდები, როგორიც მე ვარ.

აშაღა ნოინმა ცარიელი ფიალა ძირს დადგა, მერე ღვინით სავსე ფიალას სწვდა,

პროზა

სევდა

სულმოუთქმელად დასცალა, წვერზე ჩამოღვრილი ღვინის წვეთები მარცხენა ხელით მოიწმინდა და ანანიას გადასცა ასავსებად. ვიდრე ანანია ფიალის გავსებას მოასწრებდა, აშაღა ნოინმა ცხვრის ხაშლამის მოზრდილი ნაჭერი აიღო, ორივე ხელით ჩაბლუჯა და მადიანად დაიწყო ჭამა, ძვალს რბილი ხორცი შემოაღრღნა, გვერდით მჯდომ მხლებლებს უცნაურად შეუძახა და მოწყალების ნიშნად გამოხრული ძვალი გადაუგდო. მერე კვლავ მოზრდილი ხორცის ნაჭერი დაითრია და მეორეჯერ დასცალა ღვინით სავსე ფიალა. ერთხანს უხმოდ ჭამდა შეხუხულ თონის პურს, მერე მეფე დავითს მიუბრუნდა აშაღა ნოინი:

– როგორ არის ჩემი საყვარელი ასული ჯიგდა-ხათუნი? სარწმუნო კაცებმა ამბავი მომიტანეს, უცნაური ბალახების წამლებით განგიკურნებიათ იმ ქვეყანაში გასამგზავრებლად გამზადებული დედოფალი.

აშაღა ნოინი წუთით შედგა. ხელით მოიწმინდა თვალებზი მომდგარი ცრემლი.

– ავმა სულებმა ჩემი ყველა მემკვიდრე ვაჟი ერთ დღეს დამიხოცა. მე, ბებერს, ცრემლი არ მაშრება მას შემდეგ თვალზე. თუმცა მითხრეს, შენმა მტრებმა ისინი მოწამლული კუმისით დახოცესო, მაგრამ არ მჯერა, რადგან იმ ღამით მეც ბლომად ვსვი მორთმეული კუმისი.

ერთ დღეს ჩემმა მტრებმა ჩემი მოკვლა განიზრახეს, სანადიროდ გასულს თავს დამესხნენ დიდი მდინარის პირას, ღელიანში. მოპარვით დამიშინეს ისრები. ცხენი მომიკლეს და ხუთი მხედარი სასიკვდილოდ დამიჭრეს თვალწინ. დიდი ჩინგიზ-ხანის აჩრდილი შემეწია. ლომივით გავმხეცდი. ვისაც მისწვდა ჩემი მახვილი, იქვე გააფრთხობინა სული, მერე სხვებიც მომეშველნენ და თავდამსხმელები მელიებივით დამემალნენ ლელიანში... მას შემდეგ იმის შიში ამეკვიატა, ვაითუ კვლავ მოპარვით მტყორცნონ ისარი. ტანიდან არ ვიხდი ამ აბჯარს... ასე მგონია, რადგან ვაჟიშვილები აღარა მყავს, ჩემს უზარმაზარ ქონებასა და ურიცხ ჯოგებს დაეპატრონებიან.

– რატომ არ სვამს შენი ნოინი ღვინოს?

დავითმა გაიცინა და სტომაქზე მიიჭირა ორივე ხელი:

– ეშინია, ბევრი ჭამისაგან არ გაუსკდეს მუცელი.

აშაღა ნოინს ხარხარი აუვარდა.

– შიმშილი უფრო ვნებს მუცელს, ვიდრე ჭამა, შიმშილით მკვდარი ბევრი მინახავს, ჭამით კი არავინ! ასე გადაეცი შენს ნოინს!

მერე ქონით გაპოხილი ხელები კალთაზე შეიწმინდა, ხორცით სავსე თიხის ჯამს სწვდა. ერთხანს ურია შიგ ხელი, საუკეთესო ნაჭერი ამოარჩია და მონონებული ნაჭერი წინ დაუდო სარგის ჯაყელს.

სარგისმა ზიზღით დახედა მორთმეულ ულუფას, ნაძალადევად აიღო და ზოზინით დაიწყო ჭამა.

მონღოლებმა აშაღა ნოინის ნიშანზე კისრები წაიგრძელეს და სიმღერა წამოიწყეს, რომელსაც „ალაი, ალაის!“ ძახილით აძლევდნენ ბანს. სიმღერით რომ გული იჯერეს, ბარბაცით წამოდგნენ ფეხზე. აშაღა ნოინმა ამაყად მიმოიხედა ირგვლივ. მზერა სარგის ჯაყელზე გადაიტანა:

– ჩემი მოწყალება მთელი სიცოცხლე გექნება საამაყოდ. შეგიძლია თქვენს ნოინებში დაიკვეხო კიდეც, დიდი ტემურჯინის მხილველმა აშაღა ნოინმა საკუთარი ხელით გადმომიღოო ხორცის ნაჭერი. ამ თქვენმა გრძელწვერიანმა შამანმა ილოცოს ჩემთვის, რათა მოგზავნილმა მკვლელებმა არ მომისწრაფონ სიცოცხლე!

დილით ვარდანმა მოინახულა ანანია. ახალი ამბები აცნობა ქართველებს:

დასავლეთის ქვეყნებში კვლავ ულაშქრიათ მონღოლებს, საიდანაც უამრავი ნადავლით დაბრუნებულან უკან.

ბათო-ხანს თავისი უზარმაზარი ურდოს მუდმივ საცხოვრებლად კარგა ხანია ყივჩაღთა სტეპები უქცევია. დიდი მდინარის პირას არისო გაშლილი ოქროთი და ვერცხლით შემკული მათი ათასგვარად აჭრელებული კარვები.

საყვარელი ცოლებისათვის ცალ-ცალკე დაურიგებია საცხოვრებლად საძოვრებითა და ანკარა წყლებით მდიდარი ადგილები. ამბობენ, დასავლეთის ქვეყნების ლაშქრობებში დაღლილ ურდოებს ასვენებს ბათო, რათა ზამთრის დადგომისთანავე ახალი ლაშქრობები წამოიწყოს ჯერ კიდევ დაულაშქრავი ქვეყნების დასაპყრობად. მანამდე კი ჩრდილო რუსეთის ქალაქების დალაშქვრა აქვთო გადაწყვეტილი თათრებს.

– ჩემი მტრები იქ იყრიანო თავს! – ასე უთქვამს ბათო-ხანს ამას წინათ გამართულ ნადიმზე.

ელჩები გაუგზავნიათ ყველა რუსი მთავრისთვის, მორჩილება და ოქროს ურდოში ხლება უბრძანებიათ თითოეულისათვის ცალ-ცალკე.

ავ ენებს რუსი მთავარი ანდრეი დაუსმენიათ: ცხენებს იპარავს და ჩრდილოეთში ყიდისო.

გაბრაზებულ ბათო-ხანს მათრახით უცემია ცუდი ამბის მომტანი მსტოვარი და სტეპებში გაუგდია უცხენოდ. ანდრეისთან მალემსრბოლი გაუგზავნია და სასწრაფოდ ხლება უბრძანებია ურდოში.

სიკვდილის დასჯის შიშით არ დამორჩილებია ბათო-ხანის ბრძანებას რუსი მთავარი. დიდი ლაშქრითა და სურსათ-სანოვაგით ჩაკეტილა ქალაქში.

რამდენიმე თვე ამაოდ უტრიალეს თურმე ქალაქს გარშემო, მაგრამ ვერა დააკლეს რა, ბოლოს ელჩები მიუგზავნია მთავარს. ფიცით შეუვალობა აღუთქვეს, ოღონდ გამოსასყიდი მოგვართვი და ხელს არ გახლებთო.

ფიცს მინდობილი რუსი მთავრისაგან დიდძალი ძღვენი აუღიათ. მერე თვით ანდრია შეუპყრიათ, მისი მხლებლები აუკაფიათ, თავიანთი ჩვეულებისამებს წელში გადაუმტვრევიათ დიდი მთავარი და მომაკვდავი ტყის პირას დაუგდიათ ყვავ-ყორნების საჯიჯგნად.

ერთი კვირაა მარტოდმარტო ჩაკეტილა თავის კარავში მრისხანე მბრძანებელი. მის სანახავად მოსული საყვარელი ცოლი ყივჩაღი ხათუნიც კი არ შეუშვიათ კარის მცველებს.

ზოგი იმასაც ამბობს, წიგნი მოსვლია დიდ ურდოდან ბათო-ხანს. ავი სულები დასევია ღამე მონღოლთა იმპერატორს მანგუს. მონღოლთა მიერ ჩინეთში დატრიალებული ცოდვებისათვის კინაღამ მოუგუდავთ იგი. ერთ წელზე მეტია დამბლა დაცემული წევსო მანგუ-ყაენი. ხოლო მის საყვარელ ცოლს, ხათუნ თურაყინას, მონღოლთა დიდებულები მოუქრთამავს და მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოუწადინებია.

როგორც ამბობენ, ჯერ კიდევ დასავლეთის ქვეყნებში ლაშქრობების დროს სწვევია ბათო-ხანს ხათუნ თურაყინის ერთგული კაცი, წითელი ბეჭდით დამშვენებული წიგნი მიურთმევია ბათოსათვის, თან უთქვამს: დროა მონღოლთა იმპერატორი მანგუ-ყაენი მოვიშოროთ და ტახტზე უფრო ღირსეული უფლისწული დავსვათ. ყურულთაის მოწვევამდე კი მთელი ძალაუფლება ხათუნ თურაყინას გადავცეთო.

გამძვინვარებულ ბათოს საკუთარი ხელით აუკაფავს ხათუნ თურაყინის მოციქული და ველზე გადაუგდია ტურების სათრევად. მერე ჩინელი მწერლისთვის უბრძანებია: ეუწყებინა ხათუნ თურაყინას ზრახვანი. ცალკე წიგნი მიეწერია ხათუნისათვის ისე, რომ მისი წაკითხვის შემდეგ გველად ქცეულიყო ძალაუფლების მოყვარული ხათუნი.

ყველა უფლისწულისათვის გაუგზავნია ბათოს მოციქულები. შეუთვლია: შემდეგ გაზაფხულზე შევიკრიბოთო დიდ ურდოში, თურაყინა ჩამოვახრჩოთ და თვალები ავუხილოთ მისი სიყვარულით დაბრმავებულ მანგუ-ყაენსო.

ვარდანას მიერ მოტანილი ამბები გულსიყურით მოისმინეს ქართველი მეფის მხლებლებმა, ღვინო ასვეს მცირედი, დააპურეს.

ლაპარაკით გული რომ იჯერა, კარვის კუთხეში დასავანებელ მოვერცხლილ ხატთან ილოცა ვარდანამ, მერე მიჭყლეტილ ცხვირზე ჩამოისვა ხელი.

– აქ ხანდახან ისეთ ამბავს გაიგებს კაცი, ზღაპარში გგონია თავი...

მინდა ჩემი ნათქვამი დაწვრილებით აუწყოთ მეფეს. მართალია მან კარგად იცის მონღოლთა ზნე-ჩვეულებანი და გამარჯვებების საიდუმლო, მაგრამ ჩემს ნათქვამსაც უნდა ათხოვოს ყური.

გული მიგრძნობს, დიდი ამბები ხდება ყარაყორუმში. ბათო-ხანის ავტორიტეტი სწრაფად იზრდება მთელს იმპერიაში, მაგრამ ყველა უფლისწულს თვალი ძალაუფლების ჩაგდებისკენ უჭირავს.

განუზომელმა გამარჯვებებმა საგრძნობლად გააამაყა მონღოლი, ძალაუფლებამ გაათავხედა, თავის თავში დაარწმუნა და წაგებული ბრძოლის სიმწარესაც გადააჩვია.

გუშინდელი უბრალო ნუქერი დღეს ნოინობაზე ფიქრობს, გუშინდელი ღარიბ-ღატაკი, რომელსაც ერთი ყლუპი კუმისი ენატრებოდა, დღეს ჯოგების პატრონია...

მალე დიდი ზეიმის გამართვას აპირებენ მონღოლები. თავიანთ ღმერთებს უნდა შესწირონ ნაძარცვი ქონების საუკეთესო ნაწილი. ჰგონიათ, სადაც არ უნდა იყვნენ, ზეციდან ჩინგიზ-ხანის თვალი დასცქერის და მფარველობს მათ, ზეიმზე თავს მოიყრიან დაპყრობილი ქვეყნების დამარცხებული მეფეები, უცხო სამეფოთა ელჩები. თუ ბედი შეგვენია, თვით ბათო-ხანს ვიხილავთ თავისი ურიცხვი ცოლებითა და მსახურებით.

მონღოლები თაყვანს სცემენ ზეცას, მიწასა და ცეცხლს. ამიტომაც ისეთ კოცონებს ააბრიალებენ, რომ მათი ალი ზეცას სწვდებოდეს, ყველა მათთვის საეჭვო ორგულს, კოცონებს შუა გაატარებენ, რათა განიწმინდოს ისინი ავ ზრახვებისაგან, ხოლო ვინც შეეცდება ცეცხლში რაიმე უწმინდური ჩააგდოს, მყისვე გამოესალმება სიცოცხლეს.

ჯოგებიდან საუკეთესო პირუტყვს ამოარჩევენ დღესასწაულზე და ზეცაში არსებულ ღმერთებს შესწირავენ, რათა არ განარისხონ ისინი და ავისმაუწყებელი ქუხილი არ დაატყდეთ თავს.

ზეიმზე, როგორც გავიგე, რუს მთავრებსაც აქვთ ნაბრძანები დასწრება. ცხენთა ჯირითი გაიმართება: მასში თვით ბათო-ხანის პირადი დაცვის საუკეთესო ნუქერები მიიღებენ მონაწილეობას. ამიტომ რუს მთავრებს საუკეთესო ცხენების ჩამოყვანა ჰქონიათ ნაბრძანები ოქროს ურდოში.

– ჩემს თვალუწვდენელ იმპერიაში ამ დღეს ყველას უფლებას ვანიჭებ, მონაწილეობა მიიღოს გულით მოჭიდავეთა ასპარეზობაში. გამარჯვებულ ფალავანს საუკეთესო ცხენით, ოქროს ბუნიკიანი შუბითა და ღამაზი ცოლით დავაჯილდოვებთ! – უთქვამს ბათო-ხანს, ამიტომ არის, რომ მთელი იმპერიიდან საუკეთესო ფალავნები მოემართებიან ოქროს ურდოში. ზეიმის შემდეგ შორეულ ლაშქრობაში მიდის ბათო. ჯერჯერობით კი არავინ იცის, რომელი ქვეყნების დალაშქვრას ურჩევენო შამანების პირით მაღალი ღმერთები.

მოტანილი ამბები დაწვრილებით მოახსენა ანანიამ მეფე დავითს. ვარდანას მონათხრობს ღიმილით შეხვდა მეფე. სარგის ჯაყელი ახმობინა. მისი თანდასწრებით გაამეორებინა ნათქვამი.

– ასე გამოდის, კარგა ხანს ვერ მოიცლის ჩვენთვის ბათო, – თქვა სარგისმა, – თვალი კვლავ ჩრდილოეთის ქვეყნებისაკენ უჭირავთ, რადგან დიდხანს როდის ეყოფა ამ უზარმაზარ უქმად მყოფ ბრბოს ნაძარცვი ქონება.

დასავლეთის ქრისტიანი ქვეყნები ვერ ბედავენ ჯვაროსნული ომის წამოწყებას მონღოლებთან. სამაგიეროდ გაფაციცებით უთვალთვალებენ, რა ხდება ოქროს ურდოში. ყველა ძალით ცდილობენ, მათი ლაშქრობები ჩრდილო რუსეთისაკენ მიმართონ, რათა ფრანკთა ქვეყნებს ააცილონ აღმოსავლეთიდან დაძრული გრიგალი.

მეშინია, მეფევ ბატონო, თქვენ არ აგიტეხონ რაიმე. აშაღა ნოინი მართალია ერთგული კაცია ბათო –ხანისა, მასთან ახლოს მდგომი და ყოვლისშემძლე, მაგრამ აშაღა ნოინსაც ხომ ჰყავს მტრები. მოგეხსენებათ, ერთობ შეზღუდულია მათი გონება, მტრის მტერი თავიანთ მოყვარედ მიაჩნიათ, მტრის მოყვარე კი მტრად ეგულებათ მარადჟამს... აშაღა ნოინსაც ხომ ჩუმად უთვალთვალებენ ყველგან, არც ისრის ტყორცნას ერიდებიან ბნელიდან, ვფიქრობ, არც მის დასმენას ითაკილებენ ბათოსთან.

რა ვიცით, რა მოაქვს ხვალინდელ დღეს.

ეს წუთისოფელი თვალის დახამხამებასავით მოკლეა და დაუნდობელი.

ფრთხილად უნდა ვიყოთ ამ უზარმაზარ, სიკვდილის მთესველთა მოტორტმანე ოკეანეში.

მეფე დავითი უხმოდ უსმენდა სარგისს. უყვარდა მისი ტკბილი, გულწრფელი საუბარი და უანგარო თავდადება.

– ასე გამოდის, მთელი წელი აქ უნდა ვიყურყუტოთ! – თქვა მეფემ. – ჩვენი მცირე ამალისათვის ადვილად ვიპოვით სარჩოს, მაგრამ დიდი საქმეები დაგვაკისრა განგებამ. ვიდრე ჩვენ აქ ბათო-ხანის წყალობით მოლოდინში ვათევთ ღამეს, იქ ჩვენი ქვეყანა სისხლისაგან დაიცლება.

– აქედანაც უნდა ვცადოთ, მეფევ ბატონო, ჩვენი ქვეყნის შველა! – თქვა სარგისმა.

– ვცადოთ, მაგრამ როგორ! – მეფემ სიბრაზით მოკუმა მუშტი და მუხლის თავზე დაირტყა მძიმედ.

– იქნებ აშიღა ნოინი დაგვეხმაროს! – ბათო-ხანს საუფლისწულოდ გამოსთხოვოს საქართველო. ირანის დამპყრობს ჰელუგუ-ყაენს წიგნი

მონღოლთა ურდო

მიწეროს: ეგ ქვეყანა სამემკვიდრეოდ მიწყალობაო დიდმა იმპერატორმა მანგუ-ყაენმა, ამიტომ შენი ბასკაკები იქიდან გაიყვანეო. მანგუ-ყაენი არ დაემორჩილება ბათო-ხანის ბრძანებას, რადგანაც ირანის და კავკასიის ქვეყნებს ჩინგიზის მიერ ნაანდერძევ საკუთარ მამულად თვლის იგი, – თქვა მეფემ.

საჩუქრები ვაახლოთ. ერაყისა და ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომა აღვუთქვათ... აშაღა ნოინი ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ თავისი საყვარელი ასულის, საქართველოს დედოფლის ჯიგდა-ხათუნის მამულს უთავბოლოდ არ ჯიჯგნიდნენ ბასკაკები.

– მართალი ხარ, სარგის, აქედანვე უნდა ვცადოთ ბედი. იქნებ ღმერთი შეგვეწიოს და შევძლოთ ჩვენი ქვეყნის შველა.

როცა კარვის კალთა ასწია და კარავში შევიდა, ხატის წინ მუხლმოყრილი დახვდა ანანიას საბა მღვდელი. ანაფორის ქვეშ თხელი ჯაჭვის პერანგი მოუჩანდა ლოცვაში გართულს ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ჭაღარა წვერზე. წამდაუწუმ საქართველოსა და სიყვარულს ახსენებდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა მისი სიტყვები...

„მძლავრი არის ვითარცა სიკვდილი...“
მძლავრი არის ვითარცა სიყვარული...“
ფიცხელი არის ვითარცა ჯოჯოხეთი...“
დაუნდობელი – ვითარცა შური...“
„სათუთია ვითარცა ფრთები ალისა
ცეცხლს მოწყვეტილნი...“

უხმოდ გამობრუნდა ანანია გარეთ. კარვის სიახლოვეს მწვანე ბალახზე გაწვა გულაღმა და ლურჯ ცას მიაჩერდა: ყურებში ჩაესმოდა ვიღაცის ჩურჩული:

„საქართველოს სევდა მძლავრი არის
ვითარცა სიკვდილი...“
„საქართველოს სევდა მძლავრი არის
ვითარცა სიყვარული...“
„საქართველოს სევდა ფიცხელი არის
ვითარცა ჯოჯოხეთი...“
„საქართველოს სევდა დაუნდობელია
ვითარცა შური...“
„საქართველოს სევდა სათუთია
ვითარცა ფრთები ალისა
ცეცხლს მოწყვეტილნი...“

ლურჯად ლივლივებდა ცა, უძირო, უსასრულო. შორს, ძალზე შორს ბუზისოდენა მოჩანდა ნიავზე მოთამაშე უცხო ფრინველი.

ველზე კვლავ გაშლილიყო ცხენთა ფლოქვებით გადათქერილი თეთრად მოქათქათე გვირილები...

სიცოცხლე ფეთქავდა ირგვლივ...

ჯუსტაჯველის ეპოქის სასპორტო სანახაობანი

დიმიტრი ჯანელიძე

„ვეფხის-ტყაოსანი“ დიდ კულტურულ გარემოცვაში დაიწერა. იმ დროს დიადი მოშაირისაგან სრულქმნილ სიტყვას უტოლდებოდა: ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა წარმტაცი სილამაზე, მხატვართა მოქნილი ყალმისა და ფერადმეტყველი ფუნჯის განსაცვიფრებელი ოსტატობა, ოქრომჭედლის ნაქანდაკევის ნაკვთიერი სახიერობა, მგალობელთა ხმების სიტკბო და სინარნარე, ფილოსოფოსთა სიბრძნე და რიტორთა ენამზეობა.

რუსთაველის ეპოქაში სანახაობაც იყო მრავალნაირი, მრავალსახოვანი: ხალხში – თამაშობა, ეკლესიის გალავანში – „თეატრო მრჩობლთა,“ თავადების „სანადიმოდ და სამღერელად,“ თვით მეფის კარზედაც კი „სიმრავლენი სახიობათანი„: მუტრიბებითა, მუშაოთებით, მგოსნებითა და მომღერლებით, მეჩანგეებითა და შუშპარის მროკავებით, – და სხვათა უმეტეს – ათასნაირი ასპარეზობანი ჭაბუკთა მძლეთამძლეობის გამოსაწრთობად.

ასპარეზობა სასპორტო – რაინდული თამაშობა იყო. „ასპარეზობა არს მხედართა მიერ ანძათა ისრისა სრევა, ბურთთა ყვანჭისა ცემა, საგანთა სროლა და ეგევითარნი“ (საბა). ასპარეზობისათვის შერჩეულს და გამართულ ადგილს ქართულად „უტევანი“ ერქვა, „მინდორიც“ და „მოედანიც“ ხშირად ასპარეზის მნიშვნელობით იხმარებოდა. საინტერესოა, რომ ახლანდელი თბილისის ერთ-ერთ უბანს, ძველ სასპორტო სანახაობათა მოსაგონებლად, დღემდე შერჩენია სახელწოდებად „საბურთალო.“ თამარ მეფეს მხედართა საასპარეზოდ საგანგებო იპოდრომიც ჰქონია გამართული. მეფის სრა-სასახლის შექებაში შავთელს იპოდრომიც აქვს მოხსენიებული:

თუ ვუქო სრანი, მე ამას რანი
გალავანისა შემკულობანი...
კართა სტოვანი, ერთა სტოლანი
იპპოდრომისა განხმულობანი.

„სამამაცო ზნეთა“ შესწავლას დიდი ყურადღება ექცეოდა. ასპარეზობისათვის ჭაბუკებს საგანგებოდ სწვრთნიდნენ. მოასპარეზის სახელს ის თუ მოიხვეჭდა, ვინც „ასპარეზში წურთილი“ იყო. ასპარეზობაში მონაწილეობა-თამაში დიდი თავადებისათვისაც არ ყოფილა სათაკილო, თვით მეფეები და მათი სპასალარები ბურთაობდნენ.

ირანში სამეფოწართმეული ამირმირანი რომ საქართველოში გარდმოიხვეწა, თამარ მეფის კარზე მას დიდი პატივით დაუხვდნენ. უმიწაწყლოდ დარჩენილ ირანის მპყრობელს ჯავრი რომ გაექარვებინა „ჰქონდათ დღეღამე სიხარული... ნადიმობა და ბურთაობა“, ამირმირანი და მისი დიდებულნი ისეთი მობურთალნი აღმოჩენილან, რომ მემატიანეს უთქვამს: „ითქმოდა ქება ამირმირანისა და დიდებულთა და ჰულამთა მისთა, ვითა ერაყსა, ადარბადაგანს და ერანს ამათებრ მობურთალნი არ დარჩომილ არიან,“ უდიდესი სასპორტო ინტერესი უნდა აღეძრა ირანის საუკეთესო მობურთალთა ქართველ მოასპარეზეებთან შეხვედრას.

ეს სასპორტო სანახაობა იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ თამარ მეფის ისტორიკოსს ღირსეულად უცვნია მატეანეში შეეტანა: „მაშინ უბრძანა მეფემან ამირსპასალარსა, ზაქარიას და მსახურთუხუცესსა იოანეს და ჰერეთის ერისთავსა გრიგოლს, და სხვათა მოყმეთა, და ჩავიდეს მოედანსა. და მუნით ამირმირან, მისითა დიდებულითა და მონითა, და თვით თამარ, საჭვრეტლად, პირითა მით ბრწყინვალითა და ნათელმფენითა და ისლემნი დაჯერებულნი მეცადინეობისანი, და მძლე მგონებელნი თავისანი. მსწრაფლ იძლივნნეს, დავით მეფისა და მისთა მოყმეთაგან, და შეიქცეს ძლეულნი და დაჭმუნებულნი“ („ქართ. ცხ.“ ზ.ჭიჭინაძის გამოც. გვ. 440-41).

ხალხური გადმოცემით, რუსთაველი სახელგანთქმული მოასპარეზე იყო, და შესაძლოა მან ქართველთა ამ დიდ სასპორტო გამარჯვებაშიაც მიიღო მონაწილეობა. ბურთაობაში „ხელმარჯვედ ჩოგნის ცემა“, ბურთის „მარჯვედ ქნევა და მართლად ცემა“ დიდ გმირობად ითვლებოდა და „სამამაცო ზნეთა“. საამაყო გამოჩინებად. არჩილს ხომ „საქართველოს ზნეობათა“ წიგნში ეს ზნეობაც აქვს შეტანილი „ჩოგნის მოხვრეტა, მობანდვა, სწორად ბურთისა გამოჭრა, ბურთობის

დროსა ასპარეზს პირმხიარულად გამოჭრა“. ამიტომაც იყო, რუსთაველმა „ვეფხის-ტყაოსანში“ ასპარეზობა ნინ წამოსნია. ამ მხრითაც ეს დიდებული პოემა მისი ავტორის თანამედროვე ქართული ყოფაცხოვრების ამსახველია და იმ დროში შემუშავებულ ლიტერატურული ტრადიციების მიმყოლი.

„ვეფხის-ტყაოსანში“ როსტევან მეფეს, ამ მძლეთამძლე მოასპარეზესა და მობურთალს არ ჰგონია ასპარეზობაში ვინმე შეეცილოს და, როცა მისი სპასპეტი ავთანდილი შეჰკადრებს:

ნაძლევი დავდვათ, მოვასხნეთ
მოწმედ თქვენივე სპანია:
მოასპარეზედ ვინ მგავსო?!
ცუდილა უკუთმანია,
გარდამწყვეტელი მისიცა
ბურთი და მოედანია“-ო.

როსტევან მეფე უპასუხებს:

მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა
მაგისა დაცილებასა.“

როსტევან მეფისა და მისი სპასპეტის ავთანდილის ასპარეზობა, ნადირობა თავდაუჭერელი ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის, არამედ იმდროინდელი საქართველოს სინამდვილიდან ამობეჭდილი სურათია. ამ მხრითაც თინათინის მამა როსტევან მეფე ემსგავსება თამარის მამას გიორგი მეფეს, რომლის შესახებ მემატიანეს უთქვამს: „განისვენებდეს და ნადირობდეს მთათა და ბართა, და მოვლიდის და მოინადირის, რომლისა მოისრობასა ვერა-რომელი სახელგანთქმული მოისარი პირველ ანუ მის ჟამისა ესწორებოდეს“ („ქართ. ცხ.“ გვ. 386). თუ პოემის გმირები მოილხენდნენ, ნადირობდნენ და ბურთაობდნენ, ასევე იქცეოდნენ თვით რუსთაველიცა და მისი თანამედროვენი: „ხოლო სპანი მისნი (თამარ მეფისა) განისვენებდნენ ნადირობითა და ბურთაობითა“ (იქ. გვ. 485).

ასპარეზობას დიდძალი ხალხი ეტანებოდა, თვით თამარ მეფეც. პოემაშიაც სჩანს ეს დიდი სასპორტო ინტერესი. ასეთ სანახაობას, ცხადია, მომწესრიგებელი მოხელეებიც ეყოლებოდა. პირველობისათვის დავას, შეჯიბრებას, რომელსაც „ცილობას“ უწოდებდნენ, მსაჯები – „მოწმეები“ სწყვეტდნენ. გამარჯვებულთ მოედანზევე ქებით შეამკობდნენ ხოლმე. მოასპარეზეთა შორის ნიძლევიც დაიდებოდა ხოლმე ამის მსგავსად: „ვინცა იყოს უარესი, თავშიშველი სამ დღეს ვლიდესო.“

ხალხური გადმოცემით, თვით რუსთაველი სახელმოხვეჭილი მოასპარეზე იყო.

ანტონ ფურცელაძის მიერ ჩაწერილი თქმულებით: „ერთხელაც... მთელი კვირა ისმოდა რუსთაველის სახლში ლხინი და მეჯლისი. უკანასკნელ დღეს ამ წვეულებისა რუსთაველმა მიიწვია თამარ მეფე თავის მეუღლით, და მრავალნი საქართველოს დიდებულნი და კარისკაცნი... სადილს უკან რუსთაველმა გაიწვია ყველანი მეიდანზე, ჯირითობის საყურებლად... თვითონ შეიმოსა მშვენიერს ტანისამოსში, ჩაჯდა საგანგებოდ იარაღში, ცხენი შეჰკაზმა ჩინებული სამკაულით და გავიდა საჯირითოდ. რუსთაველს დიდად შვენოდა ამ სამკაულში და სხვათა დროთა უკეთესად ჯირითობდა: იმან დაამარცხა ყველა თავის მოწინააღმდეგენი. მეფეთა და ყველა კრებულთა მიულოცეს გამარჯვება. რუსთაველმა უცებ გაახტუნა ცხენი, მოუჭირა ქუსლი და ერთს წამს, როგორც ელვა, გაჰქრა თვალთაგან. რამდენსამე ხანს შემდეგ ისევ გამოჩნდა; ის იდგა ცხენზედ, ეჭირა იარაღი ხელში და გაჭენებულს ცხენზედ ათამაშდა. როდესაც მოუახლოვდა ხალხს, რუსთაველმა უცებ მოსწია შვილდბოძალს, გაუმიზნა შორიდამ თავის არაბს და ისრით გადაუგდო ქუდი“ (ჩიქოვანი — „ხალხური ვეფხ. ტყაოსანი“, - გვ.244). „ამიტომაც არის რომ სახელგანთქმული მოასპარეზის პოემაში სასპორტო საქმის დიდი ცოდნითა და გატაცებით არის აღწერილი ყოველი ასპარეზობა, ხოლო უკვდავი ქმნილების გმირები ყველანი საუცხოო მოასპარეზეებად არიან გამოყვანილნი.

მეორე ხალხური თქმულების მიხედვითაც, ერთ-ერთ ასპარეზობაში რუსთაველმა მშვილდოსნობით თავი ისახელა, რის შემდეგაც ერთმა დიდებულმა თამარ მეფეს თავზე ვაშლი დაადო და მოასპარეზენი შეაგულიანა: აბა, მშვილდოსანიც ის იქნება, ვინც ამ ვაშლს ისრით აიღებსო. შეძრწუნდნენ და უკან დაიხიეს. სახელგანთქმული მოშაირე კი წინ წამოდგა, ყველას სუნთქვა შეეკრა. რუსთაველი თამარ-მეფესთან მივიდა, მარცხენა ხელით ვაშლი დაიმაგრა, მარჯვენათი ისარზე წამოაგო და მაღლა ასწია. განცვიფრებულ მაყურებლებს რუსთაველმა განუმარტა: „თამაშის პირობაში მანძილი ხომ არ ყოფილა დათქმული, ხოლო ისრით ვაშლის აღება ხომ შევძელ და მეფესაც არა ვავნე რაო.“ ამრიგად, ასპარეზობაში ვაჟკაცის სიმამაცესთან ერთად მისი გამჭრიახობაც გამოიცდებოდა ხოლმე და ეს კი ამ უჩვეულო სანახაობისადმი ინტერესს ერთი-ათად ამძაფრებდა.

ძველად ასპარეზობაზე უფრო მსუბუქი სასპორტო თამაშობაც არსებობდა. ასეთი იყო ფუნდრუკი, რომელიც საბას განმარტებით არის: „ვაჟთა მიერ სრბოლა (რბენა), ხლტომა (ხტომა) და სხვანი მრავალნი სიკისკასენი (სისწრაფენი)“.

ფუნდრუკი სხვადასხვაგვარი იყო: „ხარდიორდა“, „ჩურო“, „ჯელთაობა“ და „ჩპლიჩი“. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩალიჩობას ტილოს ცემით თამაშობდნენ. ჩალიჩობა და ხარდიორდა არჩილსაც აქვს მოხსენებული:

ხარდიორდა და ჩალიჩი,
სევდისა დასადუმარი,
ხტომა, ქვის გდება, რკინობა,
მოგვერდი, ფანდიც რამ არი.

ჭიდაობას ძველად რკენა ჰრქმევია და მოჭიდავეს – მორკინალი. რკენა სახალხო სანახაობად დარჩა დღემდე. ამ თავის საყვარელ სანახაობაზე ხალხს მრავალი ლექსი და ზღაპარი გამოუთქვამს, მათ შორის როსტომიანიც, რომელშიაც ფალავან-გოლიათების რკენის საბედისწერო ამბავია მოთხრობილი. როსტომს რუსთაველიც იხსენიებს თავის პოემაში, როცა ავთანდილზე ამბობს: „ისრითა მოჰკლის ნადირი, როსტომის მკლავუგრძესითა“.

სამხედრო ვარჯიშობა და თამაშობა საომარი წვრთნის სკოლა იყო. ასპარეზობაში მონაწილეობით საჭურველში ჩამჯდარ მხედრობას მშვიდობიან პირობებშიაც შეეძლო თავი გამოეჩინა, სახელი მოეხვეჭა ვაჟკაცობითა და სიმამაცით, სიმარჯვითა და გამჭრიახობით. ქართული საზეიმო სამხედრო ვარჯიშობა თავისი დიდებული სანახაობით, სიფიცხითა და მრავალფეროვნებით თუ არ სჯობდა, ყოველ შემთხვევაში არ ჩამოუვარდებოდა საშუალო საუკუნეთა ევროპელი რაინდების ტურნირებს.

ერთ-ერთი სამხედრო-საზეიმო ვარჯიშობის – ოროლით (შუბებით) შებმის აღწერილობა შემონახულია „ამირან-დარეჯანიანში.“

ოროლით თამაშობას წინ უძღოდა დიდი სამზადისი. ქალაქ გარეთ დიდ ველზე დგამდნენ კარვებს, როგორც შებმის მონაწილეთათვის, ისე მაყურებელი სტუმრებისთვის. ოროლით შებმას ესწრებოდნენ მეფე-დედოფალი და დიდებულნი, უამრავი ხალხი. ოროლოთ შებმაში დამარცხებულს ვალად ედო გამარჯვებულებს და საპატიო მაყურებლებს გამასპინძლებოდა.

ომიც კი ხშირად ფალავან-ბუმბერაზების შებმის სანახაობას წარმოადგენდა. ვახტანგ გორგასლანის ისტორიკოსი მოგვითხრობს ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობის შესახებ, რომელსაც ვახტანგის ლაშქარი მოწინააღმდეგის ლაშქარს შეხვდა, – „დაიბანაკეს ორთავე სპათა მიერ და იმიერ... განეკრძალნეს ერთმანეთისაგან, და დადგეს ეგრე შვიდ დღე: ამა შვიდ დღესა ბრძოლაი იყო ბუმბერაზთა მდინარესა ზედა“ („ქართ. ცხ.“ გვ.161-65).

ასეთია რუსთაველის ეპოქის სასპორტო რაინდული სანახაობანი. „ვეფხის-ტყაოსანი“ ავტორის თანამედროვე ყოფაცხოვრების ზედმიწევნით ამსახველი მხატვრული ქმნილებაა და ამიტომაც არის, რომ ასპარეზობით აღელვებულნი და გატაცებულნი სჩანან პოემის გმირები.

პოემის სასპორტო-რაინდული ხასიათი კიდევ უფრო გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ პოემა გამოჩენილი მოასპარეზის კალმით იწერებოდა და ავტორის პოეტურ შთაგონებას ავაჟკაცებდა „ანძათა ისრისა სრევისას“ მხედართა ყივილი, ტაიჭთა შენავარდება, ჩამოგდებული ოქროს თასის წკრიალი და მაყურებელთა აღტაცებული ყიჟინა.

სასურველია დიადი მოშაირისა და სახელგანთქმული მოასპარეზის იუბილე დიდი სასპორტო დღესასწაულით აღინიშნოს და შემოღებულ იქნას ჩვენი დროის საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოვება რუსთაველის სახელობის ოქროს თასით.

გაზეთი „კომუნისტი“, 1937 წელი, N241

„რა უარეა მამაცსა, ომშიგან პირის მხეჭელსა,
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!
კაცი ჯაბანი რათა სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!“

შოთა რუსთაველი

ლეონიძის გახსენება

ვაჟა სამსონიძე

„ველარ ვემთხვიე მესხეთის მიწას“
გ.ლეონიძე

ცამ ზესიამით ლოყა აიწვა,
თითქოს გამრთელდა ყველა ჭრილობა,
შინ დაბუნებულს რუსთველს ამ მიწამ
შემოაგება მგოსანთ ყრილობა.

თითქოს გაცოცხლდნენ ძველი გმირები,
უჭკნობ გვირგვინად დაჯდა თამარი!
დატკბნენ მესხები მათი მზირებით,
გადაივიწყეს სულის ტრამალი.

გულში ჩაიკლეს ბნელი წარსული,
სამასწლოვანი დარდი, ნაღველი...
სამცხე გულლაღობს ცამდე ასული, –
მასპინძელია დაუძრახველი!

ამერ-იმერით... მაშრიყ-მაღრიბით
ჯარი მომრავლდა დიდებულ ხასის, –
თქვეს უკვდავება სისხლად დაღვრილის
და სადღეგრძელო ასი, ათასი!

იდგა მათ შორის გულით ამაყით
ახალ ივერთა მგოსნების კრება, –
ირაკლიმ იწყო ლექსი, კამათი,
დაუვიწყარი გაშაირება...

მაგრამ ამ ფერხულს მხნე, სასურველი
აკლდა ხმა დიდი ლეონიძისა,
ვერ მოეტანა ეშხი, სურნელი
პატარა წყნეთის ცხელი მიწისა!

ველარ მოვიდა, ვერ მოგვესხივა,
სიტყვა სალამით ადრე დათქმულით,
ველარ ვისმინეთ მისი „მესხი ვარ!“
და ძარღვიანი ლექსი ქართული!

როგორ ელოდნენ მთები... ბაღები...
გულდალაშქრულნი ძველ
გაავდრებით,
როგორ ელოდნენ კარის გაღებით
„მესხეთის მთებზე დიდი ტაძრები“.

„დიდო მესხეთო, ძველო მესხეთო,
მადლო მესხურო, მზეო მესხურო,
ოცნებას უნდა, რომ ძველებურად
უკვდავი სხივით გადამესხურო!“

მაგრამ... შორს იწვა ასე მლოცველი,
მთაწმინდის კალთას შეფარებული,
ჩვენ დაგვიტოვა გული ოცნების,
სამშობლოს მზეზე შეყვარებული!

შალვა რადიანი, ქეთევან ირემაძე, გიორგი ლეონიძე შოთა რუსთაველის იუბილეზე

გადმოცემა თამარ მეფეზე

სოფელ ტბეთთან ყოფილა ემპელის ციხე. ამ ციხეში ყოლია თამარს ჯარები.

სოფელს თავზე გორა დაჰყურებს, რომელსაც ეხლაც გლუვი ზედაპირი აქვს.

თათრების ჯარების სარდალს შიკრიკით შემოუთვლია:

– მეო, მოვდივარ საომრათაო, სულერთია, დაგამარცხებთო და სანამ ხალხს გაგიწყვეტავ, ცოლათ გამომყევიო.

შეფიქრიანდა თამარ მეფე: „მე დიაცი და ის მამაკაცი, მე სად შევძლებ იმასთან ომსაო“.

ხალხმა უთხრა:

– თათრები ვინ არიან, რო იმათ დავნებდეთო!

მაშინ თამარ მეფემ უარი შეუთვალა.

მანამდისინ ეს ამბავი მიუვიდოდა თურქეთის ფაშას, თამარმა ორმოები გააჭრევინა და ფიჩხით დახურა, ზედ ბელტი დააყრევინა, ვითომ მინდორიაო, ისეთი სახე მისცა. იმ ორმოების იქით თავისი ჯარი ჩაასაფრა.

დათქმულ დროზე წამოვიდა იმათი ჯარი.

თამარ მეფის საარაკო სილამაზეზე ისე იყო გაგიჟებული ფაშა, რო წინ მიუძღოდა ჯარს, არავინ დამასწროს იმასთან მისვლაო. თამარს დანდობილი ჰქონდა, რო სანამ ბრძანება არ იქნება, თოფი არ გაისროლოთო.

მოძალდა თათრის ჯარი და სუ თითო თითოთ ჩაცვივდა ორმოში. კარგა მაგრა შეცოტავდნენ. თამარმა მაშინ კი უბრძანა თავის ჯარს, გადავიდნენ იერიშზე. დაიპყრეს თათრები.

ორმოში ჩაყრილებს მოკვეთეს თავები. გვამები ჩაჰყარეს ხანდაკში, თავები შეაგროვეს მინდორზე და იქ დააგროვეს, გორა გააკეთეს. იმ გორას ბელტი მიაწეს და ისე გორათ დარჩა. ამ ხანდაკზე წააყრევინა მიწა და დაამბა ფერხული. თითონ თამარ დედოფალი ფერხულს თავს უვლის.

იმდენი იცეკვეს, რო დაიღალნენ.

მაშინ თამარ დედოფალმა თქვა:

– გატყიპეთ, ბიჭებო, თათრები, მაგრად, მაგრად გატყიპეთო!

იმ ადგილს ეხლა ეძახიან სატყეპელას. თათრულად ქალლათაფა, რომელიც მოკვეთილ თავს ნიშნავს.

მთქმელი მაკარ ზარიძე, 78 წლის, ახალციხის რაიონის სოფ. თოკი. ჩაიწერა თეიმურაზ ძურდოვანიძემ 1965 წელს. თსუ ფ.არქ. N 4045 779

თამარზე თქმული

როცა უკანასკნელ წუთებში იყო თამარი, იგი იმყოფებოდა ვარძიის დარბაზში. მას რადგან ბევრი ემტერებოდა, მან იფიქრა: ჩემს გვამს ბევრი მტერი ეყოლებაო. დაუძახა თავის ვეზირებს და უთხრა: გააკეთეთ თერთმეტი კუბოო, გააკეთეთ ჩქარაო.

გააკეთეს თერთმეტი კუბო, მერე დაუძახა თავის შვილს ლაშა-გიორგის და სთხოვა, რომ მოვკვდები მეო, ეს ვეზირები როცა გამასვენებენ, ყველას მოკვეთე თავებიო. მართლაც ასე მოიქცნენ.

თერთმეტი კუბო სხვადასხვა ადგილზე გელათში დაასვენეს. როცა მობრუნდნენ, ლაშამ ყველას თავები დასჭრა, თითონაც არ იცოცხლა, თავი. ვინ გაასვენა, არ იციან.

ერთი მოხუცი ქალი იყო, 120 წლის, ეხლახან მოკვდა ვაჭარიძე. იმის მოგონებებით ამბობენ, რომ თამარი ვარძიაშიაო და თამარის თმები დიდხანს ეკიდაო ვარძიაშიო. არ ამბობენ სად ასაფლავიაო, არ შეიძლებაო მაგის თქმაო.

მთქმელი ნინა ზაზაძე, 39 წლის, ახალციხის რაიონის სოფელი თმოგვი. ჩაიწერა მ. კოჭლავაშვილმა 1965 წელს

გობელენი როზა მეფისაშვილისა

თქმული შოთა რუსთაველზე

შოთა საქართველოსთვის იბრძოდა და ყველა ბრძოლაში ის იმარჯვებდა. შოთას ისეთი ცხენი ჰყავდა, რომ ისიც იბრძოდა შოთასთან ერთად. როდესაც თურქები შემოესივნენ სოფელ ასპინძას, ეს რომ შეიტყვო შოთამ, აქაც გამოსწია თავისი ჯარით ერთად და აქაც გაიმარჯვა. მხოლოდ შოთას დაუჭრეს თავისი საყვარელი ლურჯა. გაბრაზებული, გაცეცხლებული შოთა მარტოდ დარჩა თავის ლურჯასთან. ისე მძიმედ იყო დაჭრილი ლურჯა, ფეხზეც ვერ დგებოდა, იმის ნაირი ცხენი ჯერ არავის არ ჰყოლია. მისმა ცხენმა იცოდა ფრუტუნი. როდესაც მტერი საქართველოზე იერიშს მიიტანდა, შოთა და მისი ლურჯა მაშინვე იქ გაჩნდებოდნენ, იმავე წუთს ამოჟლეტავდნენ მტერს. ახლა კი დაიღუპა საწყალი ლურჯა.

სათათრეთში ერთ კაცს ჰყავდა კაი ცხენი, რომელიც ლურჯას ჰგავდა. შოთა წავიდა იმ კაცთან, ვისაც ყავდა ცხენი. მივიდა და მოახსენა, მომყიდეო და რაც კი ოქრო მაქვს, სულ შენი იყოსო. ვაჭარმა უთხრა, – წადი, შენი ოქრო მოიტანეო და მერე წაიყვანე ცხენიო. შოთა დათანხმდა. შოთას ეს ოქროები ერთ გამოქვაბულში უნდა მიეტანა. შოთა ფიქრობდა, ამ ოქროს როგორ დავიბრუნებო? მართლაც შოთა მოექცა ასე ვაჭარს: ჯერ ცხენი გამოიყვანა, მერე კი, როგორც იცოდა, მოარტყა ცხენს და გამოფრინდა. ვაჭარი გამოეკიდა, მაგრამ ვერ დაეწია. შოთამ სცადა ისევ გამოქვაბულში დაეტოვებინა ოქრო. კლდეში გამოიცვალა ტანსაცმელი, ჩაიცვა ძველები და ერთი ნაბადი, ვითომ მეცხვარე ვარო, აიღო გუდა, შიგ ჩადო ერთი ნატეხი პური და გამოუდგა გზას. ეს ოქრო ისევ გამოქვაბულში შედო. შოთა თავისი ცხენით ცაშიც კი დაფრინავდა. ყველას უყვარდა შოთა – დიდსაც და პატარა ქალსაც და კაცსაც.

მთქმელი *მარგო თედორაძე*, 55 წლის, ახალციხის რაიონის სოფ. თოკი. ჩაიწერა *ვ.კოჭლავაშვილმა* 1965 წელს. თსუ ფ. არქ. N 400

გაზეთის ლოვანლელი ნომერი იხეჭლება ასპინძის მუნიციპალიტეტის (მერი როსტომ მაგრაქველიძე) – ლაფინანსებით

ქალწლა თამარისა და შოთაზე

ყარაღაჯია ახლოს ოდეაარე ციხესიმაგრეში თამარმა დიდი ნადიმი გამართა. სამი კვირის განმავლობაში შიკრიკები სტუმრებს იწვევდნენ. სამი დღის განმავლობაში მონადირეები ნადირობდნენ, წვავდნენ ძროხისა და ცხვრის ხორცს.

როდესაც სტუმრები შეიკრიბნენ და ნადიმი დაიწყო, დედოფალმა უბრძანა შოთა რუსთაველს წაეკითხა ლექსები და არაკი, რომელიც მან მისი ბრძანებით სპარსულიდან გადმოთარგმნა. არაკი იმდენად კარგი იყო, რომ დედოფალმა და მისმა სტუმრებმა ბევრი იტირეს.

მაშინ თამარმა ნება დართო პოეტს მოეთხოვა ჯილდო მისი ნების შესრულებისა და ასეთი ლამაზი ამბის თარგმნისათვის. საზანდარმა თამარს ხელი სთხოვა. სტუმრები გამხიარულდნენ, მაგრამ ყველა შეშინდა, როცა მეფეს განრისხება შეამჩნიეს.

მან უბრძანა პოეტს საუკეთესო ცხენზე ამხედრებულიყო და სამუდამოდ გასცლოდა იქაურობას. შეწუხებული სტუმრები დიდხანს ჩურჩულებდნენ, მაგრამ დედოფალმა ხალხი გაისტუმრა და ნადიმი დასრულდა.

რუსთაველი მთელი დღე მიაჭენებდა ცხენს. თბილისში, სადაც ბინადრობდა, ღამე ჩავიდა, მას იქ სასიხარულო არაფერი ელოდა. მის ბინაში სიწყნარე იყო. პოეტი უხმაუროდ შევიდა თავისი ცოლის ოთახში, სადაც მის მიერ კონსტანტინოპოლში ნაყიდი არაბი მონა იწვა საწოლში.

მეორე დღეს მან მოიპატიჟა თავისი და ცოლის ყველა ნათესავი. ისინი დიდი ნადიმის მოლოდინში იყვნენ: წრიულად დასხდნენ, მაგრამ სუფრაზე არაბის მოჭრილი თავი დახვდათ. რუსთაველმა მათ მოუთხრო ცოლის ღალატზე, თქვა, რომ იგი შორეულ ქვეყნებში მიემგზავრება და მასზე ვერასდროს ვეღარაფერს შეიტყობენ.

მან დატოვა პოემა, რომლის სპარსულიდან თარგმნა დედოფალმა უბრძანა და დაბეჯითებით სთხოვა მათ ამ წიგნის შენახვა, რათა შემდეგ იგი თავიანთი შვილებისათვის გადაეცათ და მოეთხროთ მათთვის იმის შესახებ, რომ ოდესღაც რუსთაველი მეხოტბე იყო, რომელსაც ძალიან მოსწონდა ლექსების შეთხზვა, რომ ამ მომღერალს დედოფალი თამარი უყვარდა. ღმერთმა კი მას არ მისცა უფლება მშობლიურ ქვეყანაში სიკვდილისა.

ჩაიწერა ბარონმა დე ბაიმ, ფრანგი მეცნიერი

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

გიგზავნით ს. ვალეში შეკრებილს შეწირულობას შ. რუსთაველის ძეგლისათვის. ივ. მღ. გვარამაძე 1 მან. 10 კაპ., სტეფანე მღ. ზაქაროვი 1 მან. 5 კაპ., გედეონ მომცემლიძე და კოტე გაბრიჩიძე 1 მან., ილია გიორგაძე 1 მან., იორლელი ფარიტ წულუკიძე 40 კაპ., ვასილ დარბაზოვი 20 კაპ., იორდან ჩიტოძე 40 კაპ., პეტრე გოგალოვი 20 კაპ., მღვდელი გიორგი ფერაძე 1 მან., სოსიკო კოჭიბროლაშვილი (გოხალოვ) 50 კაპ., ეგნატე ნადირაძე 20 კაპ., სტეფან მანველოვი 40 კაპ., მღვდელი სტეფან გახალოვი 2 მან., ალექსანდრე პ. ისკანდაროვი 40 კაპ., არტემ ქაჩხოევი 31 კაპ. სულ შესდგა 10 მან., 26 კაპ. ფოშტის ხარჯი 26 კაპ., დარჩება ფული 10 მანეთი, რომელსაც გიგზავნით.

ᲕᲘᲜᲛᲔ ᲛᲔᲡᲮᲘ
„ივერია“, 1894 წელი, N 21

ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲐᲜᲘ

ჩვენ გავიგეთ, რომ ერთი ჩვენი საჩინო მწერალი სწერსო ახალს ტრაგედიას, რომელსაც ერქმევა სახელად „ჯავახიანი.“ ტრაგედიაში გამოყვანილი იქნებიან მეფე გიორგი III ივერთა, რუსუდან, თამარ დედოფალი და შოთა რუსთაველი. ჯერედ ახალგაზრდანი და ბევრი სხვა საქართველოს ისტორიულნი პირნი და მამაცნი. ჯავახიანი იყო გიორგი III დროს სასახლის გავლენიანი პირი და თან დიდი ინტრიგანი.

დროება, 1883 წელი, N 57

ᲕᲐᲠᲫᲘᲐᲖᲔ ᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ

როცა შემოსევია თურქეთი საომრად, შემოუთვლია თამარისთვის: მოვდივართ და მზად იყავ ომისთვისო. თუ გამარჯვებული ვიქნები, ცოლად წაგიყვანო. აღდგომა დღეს ელოდებოდნენ მტრის შემოსევას.

თამარმა და თამარის ჯარმა იქ, ვაკე ადგილას გათახრეს ორმოები, ღრმად დაუსვეს ბასრი ისრები. ზედ ამ ორმოებს ხალიჩა გადააფარეს და დაუსვეს პალოები ისე, რომ ზედ რო დადგებოდნენ, შიგ ჩავარდებოდნენ.

გააწყვეს სუფრა და დაიწყეს ქეიფობა. ამ ნადიმზე მოვიდნენ თურქები. გაიმართა ხელჩართული ომი. აი თქვე გიაურებოო, არც სუფრიდან დგებითო და გაწყობილ სუფრაზე გადაეშვნენ და ჩაცვივდნენ ორმოში.

თამარის და თურქეთის ფაშებმა ჯერ ცხენებით იომეს, მერე კი ორმოში გადაჩეხა.

მამუკა თავაქარაშვილის ილუსტრაცია

გამარჯვებული ხარ შენ გიაუროო, ჩასძახა. თამარმა კი მანდილი გაუწოდა და უთხრა: დაიხურე მანდილოი და ისე დაბრუნდიო.

მთქმელი *ნინა ზაზაძე*, 39 წლის, ახალციხის რაიონის სოფელი თმოგვი. ჩაიწერა *მ. კოჭლავაშვილმა* 1965 წელს

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲡ

მთელი მსოფლიო არ გივიწყებს, შენ გაქებს,
ირმის ხორცსა მონადირე არვინ ჭყიდის,
უშენოთ ბაღში ყვავილები არ ხარობს,
ბულბულის მაგიერ ყორანი ვერ გალობს.

რუსთავიდან მტკვრამდე რავდენი მეადლია,
მტკვარს შუა და რუსთავს შუა რავდენი მეადლია.
მისი ნახვა ქართველისთვისა მადლია,
იქა იშობე, იქვე ფეხი აიდგი,
თუმცა განჯღრევენ, ფეხი მაგრად გაიდგი.

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲡ

მრავალს წელს დაგვტოვე, მგლოვიარე შენა,
ვევედროთ ღმერთსა გვქონდეს ხმა, სმენა,
შენ შეხაროდი საქართველოს, მეორედ დაიბადები,
იცოცხლებ მრავალსა წელსა.
შოთა შენა ხარ ქვეყნის ყვავილი,
ყოველ ყვავილზე ადრე მოხვალ, გაივლი.
ვეფხვისტყაოსანი ხელთ გიპყრია,
ბულბული გალობს,
მსოფლიოს შემოივლი,
შენ, ჩვენო მოამაგევ, გადაივლი ბევრსა მთებსა,
იცოცხლებ ჩვენთან გულში,
მრავალსა წელსა.

***

წითელი სობორი ოთის ტყეში, მას აგებდა ქართველი,
იესოს ჯვარი ეპყრა ხელში, ყოველ განსაცდელში,
იმყოფებოდა ჩვენში,
დაგვიდგა დღეობა, ღმერთო, მოვალთ ზაფხულში.

ნუ გაჰყვები მამაჩემო მტრისა ხელთა,
გმირ ვაჟკაცის შნო ორი თვალია,
შვილი მამისთვის საყვარელი და მარგალიტია,
ერთი ღმერთის ხათრისათვის ნუ დამაბრმავებ.

ბაღები და ვენახები სულ შენი იყოს,
შიგ მანდარინი, ფორთოხალი და კომში,
სულ შენი იყოს.
გვილიზარი და გვილაფერიც ისიც შენი იყოს,
ერთი ღმერთის ხათრისათვის ნუ დამაბრმავებ.

შაჰის შვილი ამბობს, თვალის სიმწარე,
პატიოსანო მამაჩემო, ნუ დამსჯი, წამება მაკმარე,
ნუთუ უსირცხვილოდ მოსჭრი შენს დარგულ ხეს,
ჩვენი გამჩენის ხათრისათვის, ნუ დამაბრმავებ.

თურქულიდან თარგმნა ზაქარია ალელიშვილმა
1957 წელი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲡᲞᲘᲜᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ 1998 ᲬᲚᲘᲡ 15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ.
ᲡᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ N19/4-17

ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ
ᲘᲠᲛᲐ ᲯᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ
ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲡᲐᲑᲭᲝ:
ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲮᲐᲜ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲘᲜᲐᲣᲠᲘ, ᲡᲝᲡᲝ ᲒᲘᲥᲝᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ
ᲨᲡ „ᲡᲐᲐᲠᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲔ ᲛᲦᲕᲓᲚᲘᲡ 57.
ᲢᲔᲚ: 2.94-14-32

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com